პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1976 კვირა 3 ოქტომბერი № 233 (16663) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## ჭიათურელთა წვლილი

ჭიათურა. არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით! — რუსთაველ მეტალურგთა ამ მოწოდებას ფართოდ დაუჭირეს მხარი ჭიათურის მრეწველობის მშრომელებმა და იკისრეს წლეულს გეგმის გადამეტებით 2.800 ათასი მანეთის პროდუქცია გამოეშვათ. მაგრამ შემდგომ საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის პასუხად ჭიათურელებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობები და ვალდებულება 3 მილიონ 350 ათას მანეთამდე გაზარდეს.

შეჯამებულია ცხრა თვის მუშაობის შედეგები. 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში უკვე გამოშვებულია 2 მილიონ 900 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 100 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე წინათ ნაკისრი წლიური ვალდებულება ითვალისწინებდა. თავი ისახელეს სამთამადნო კომბინატის მაღაროთსამმართველოების კოლექტივებმა, რომლებმაც ახალი წლიური ვალდებულების ანგარიშში უკვე შეიტანეს 1 მილიონ 418 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მარგველაშვილმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.




# დიდი შეფასება, დიდი მოვალეობა!

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი მოლოცვა ძალას მატებს, ენერგიას უათკეცებს ჩვენს მეჩაიეებს, მემინდვრეებს, მევენახეებს, მებაღეებს, მეციტრუსეებს, მებოსტნეებს, მეცხოველეებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, საქართველოს მშრომელებს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის!

## რა ძალასა და ენერგიას გვმატებს

□ მიღებულია ჩაის ჭეშმარიტად რეკორდული მოსავალი

□ წელს შეგვიძლია და უნდა მოვკრიფოთ 355 ათასი ტონა „მწვანე ოქრო"

□ დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ ყველაფერი, რაც ჩვენი მშრომელების მარჯვენით, ჩვენი ხალხის გარჯით არის მოყვანილი

თავდადებული, ნაყოფიერი შრომის შედეგად საქართველოს მეჩაიეებმა ორ წელიწადში მეორედ დაიმსახურეს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულთბილი მოლოცვა.

გამარჯვება უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების სახელოვან შესრულებამ. მოკრეფილია 350 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ჭეშმარიტად რეკორდული მოსავალია, მაგრამ არც ამას სჯერდებიან ჩვენი „მწვანე ოქროს" მაძიებლები. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოლოცვაში სულით და გულით გვისურვა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

ეს გვავალებს: მეჩაიეთა მაგალითისამებრ თავი ვისახელოთ მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლით, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვით.

რედაქციაში უკვე მოდის წერილები, იმის შესახებ, თუ როგორი შთაგონებით, აღფრთოვანებითა და მადლიერების გრძნობით ეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილ მოლოცვას. იგი ძალას მატებს, რაზმავს ჩვენს მემინდვრეებს, მევენახეებს, მებაღეებს, მეციტრუსეებს, მებოსტნეებს, მეჭარხლეებს, მეცხოველეებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რათა ორგანიზებულად, დროზე და უდანაკარგოდ დაამთავრონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღება. ხშირად ასეთ შრომითს აღმავლობაზე, დიდ აღფრთოვანებაზე, მომავალი ამოცანების სიდიადეზე მიუთითებენ ამ გვერდზე დაბეჭდილი წერილები.

ახლა სიტყვა ჩვენზეა

## ეს მევენახეებსაც აღგვაფრთოვანებს

მეჩაიეებმა ერთხელ კიდევ გაგვახარეს, დიდი გამარჯვება მოიპოვეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება დაიმსახურეს. ეს არა მარტო მეჩაიეებს, არამედ ჩვენ, მევენახეებსაც აღგვაფრთოვანებს შრომაში.

ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა წარმატებით შესრულდა, ახლა ჯერი ჩვენზე, მევენახეებზეა. უამინდობას ენერგიული, გონიერი შრომა დავუპირისპირეთ და ამინდის ჭირვეულობისაგან ბევრი ვენახი დავიცავით. მაინც ზარალი დიდია, მიუხედავად იმისა, რომ წლეულს ვენახებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ორჯერ, სამჯერ მეტი შრომა მოვახმარეთ, ვიდრე სხვა დროს. ახლა რთველია, ჩვენი ვალია ყურძენი უდანაკარგოდ მივიტანოთ სახელმწიფო მარანში. ეს ასეც იქნება.

მ. მექვევრიშვილი,

გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის მევენახე ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## იქნება 200 ათასი ტონა მარცვლეული

წლეულს დიდი სიხარული ეწვია ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, მათ იზეიმეს დიდი გამარჯვება: სამშობლოს მისცეს 350.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული. მეჩაიეთა შრომას მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც თავის მისასალმებელ წერილში აღნიშნა: „სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებას". ეს ყველა დარგის მუშაკებს აღაფრთოვანებს და ავალებს ყველაფერი გააკეთონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ჩვენმა კოლმეურნეობამ წლეულს თავთავიანი კულტურების მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 41,3 ცენტნერი მარცვალი და სახელმწიფოს 6.000 ტონაზე მეტი ხორბალი მიჰყიდა.

ვულოცავ სახელოვან მეჩაიეებს სარეკორდო მოსავლის მიღებას. მალე მხვნელ-მთესველებიც ვუპატაკებთ სამშობლოს პირობის შესრულებას — სახელმწიფო ბეღელში მივიტანთ 200 ათას ტონა მარცვლეულს.

ნ. მელიქიშვილი,

წითელწყაროს რაიონის ზემოქედის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი.

## მეცხოველეთა პირობა მტკიცეა

ბუში, 2 ოქტომბერს ფასანაურის კოლმეურნეობის წევრები ეცნობოდნენ გაზეთებში დაბეჭდილ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოც წერილს საქართველოს მეჩაიეებისადმი. მათს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამ დიდი შეფასების გამო. ეს გამარჯვება, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის მეჩაიეებს, მაგრამ ჩვენც, მეცხოველეებიც სიტყვას არ გავტეხთ და წარმატებით შევასრულებთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებსა და ვალდებულებებს.

მე კოლმეურნეობაში თავჩობნად ვმუშაობ. წლეულს ყოველ ას ნერბზე მივიღე და შევინარჩუნე ასი ბატკანი, თვითეულ ცხვარზე გავპარსე სამი კილოგრამი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,5 კილოგრამისა.

მეჩაიეთა უსაზღვრო სიხარულს მეცხოველეებიც ვიზიარებთ და ამ დიდი შეფასების პასუხად გავაორკეცებთ მუშაობას, სანიმუშოდ მოვემზადებით ზამთრისათვის და მივაღწევთ მეცხოველეობის ახალ აღმავლობას.

დიდება პატიოსან შრომას — გამარჯვების საწინდარს!

ი. ბოთიაშვილი,

დუშეთის რაიონის ფასანაურის კოლმეურნეობის მეცხოველე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მადლობა შენ, მეჩაის დაუღალავო მარჯვენავ!

□

## ჩაის ცნობილ ოსტატთა თანავარსკვლავედში



ემინე ზაქარიაძე,
სოციალისტური შრომის გმირი



ეთერ ცირამუა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

## ვაშა თქვენ!

ქართველმა მეჩაიეებმა ერთხელ კიდევ ასახელეს სამშობლო, ერთხელ კიდევ თავდადებული შრომით მოიპოვეს სასიხარულო გამარჯვება!

მეათე ხუთწლედის დაწყება სარეკორდო მოსავლით მართლაც დიდი წარმატებაა და სიამაყით უვსებს გულს ყველა ჩვენგანს.

მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის, მთელი ჩვენი პარტიისა და ხალხის გულითადი მადლობა გამოხატა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოლოცვაში ქართველი მეჩაიეებისადმი. ამ მოლოცვის შესანიშნავი სიტყვები, რომ „მიღწეული წარმატებანი საქართველოს მეჩაიეთა თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია", მშვენივრად ადასტურებენ საქართველოს მშრომელების გადაწყვეტილებას ახალი მძლავრი ენთუზიაზმით უპასუხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ივნისის ისტორიულ დადგენილებას, პარტიის მუდმივ ზრუნვას ჩვენი რესპუბლიკის აყვავებისათვის.

მეჩაიეების გამარჯვება მაგალითი იქნება ყველა მშრომელისათვის, ყველა პროფესიის ადამიანისათვის, ვისაც სამშობლოს დიდებისათვის შრომა და ბრძოლა თავის მოწოდებად და სიცოცხლის მაზნად მიაჩნია.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი მეჩაიეების ეს გმირობა ქართველ შემოქმედთა შთაგონების წყაროდ იქცევა, და რომ ქართველი მწერლები ყველაფერს გააკეთებენ ამ გმირობის უკვდავსაყოფად.

ვაშა და დიდება თქვენს მარჯვენას, ჩვენო სახელოვანო თანამემამულენო — ქართველო მეჩაიეებო!

გრიგოლ აბაშიძე,

პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი.

## შთაგონება

მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 353.000 ტონაზე მეტი ჩაი — მწვანე ოქრო, როგორც იტყვიან, ჩვენი მზიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უპირველესი პროდუქტი, რომელსაც ჩვენი სახელი მთელს ქვეყანაში გააქვს. ეს დიდი საქმეა; ეს ციფრი უფრო მეტია, ვიდრე გეგმა, უფრო მეტი, ვიდრე გეგმის გადამეტებით ნაკისრი ვალდებულება. ჩაის კრეფა და ჩაბარება კვლავ გრძელდება.

ეს დიდი სიმდიდრეა, ჩვენი ეკონომიკის განვითარების დიდი ფაქტორია. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ მოვლენას არანაკლები მორალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მატერიალური. ამ ციფრის მიღმა ხომ ჩვენი ადამიანების, კომუნიზმის მშენებლების, ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების თავდადებული, ხშირად თავგანწირული შრომა ჩანს.

საბჭოთა ადამიანის ეს ხასიათი კი ჯამია მომავლის რწმენის, შრომის სიყვარულის და პატრიოტიზმის. ასეთები არიან ქართველი მეჩაიეები, და არ იყო მოულოდნელი, რომ მათ მიესალმა ჩვენი სამშობლოს მეთაური ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. ეს მისალმება ჩვენი შრომის შეფასებაც არის და პროგრამაც. ეს უდიდესი სტიმულია.

ქართველი მეცნიერები, მათი შტაბი — მეცნიერებათა აკადემია აღფრთოვანებას გამოხატავენ, ისინი შთაგონებულნი არიან ჩვენი რესპუბლიკის ახალი უდიდესი წარმატებებით და ამ წარმატებათა ლენინური შეფასებით, რაც ლეონიდ ბრეჟნევის მისალმებაშია გამოთქმული.

ევგენი ხარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

## რთველი — დროულად, უდანაკარგოდ!

### სად რამდენი მოიკრიფა

(ტონობით — 2 ოქტომბრისათვის)

| | |
|---|---|
| გურჯაანი | 31·893 |
| თელავი | 10·728 |
| წითელწყარო | 9·100 |
| ყვარელი | 8·216 |
| სიღნაღი | 7·901 |
| ბოლნისი | 4·100 |
| ახმეტა | 1·770 |
| საგარეჯო | 1·724 |
| მარნეული | 1·432 |
| ლაგოდეხი | 1·092 |
| გარდაბანი | 993 |
| მაიაკოვსკი | 267 |
| ზესტაფონი | 233 |
| საჩხერე | 203 |
| მცხეთა | 128 |
| თერჯოლა | 124 |
| წყალტუბო | 15 |
| წულუკიძე | 8 |
| სამტრედია | 6 |
| სულ საქართველოში | — 79.864 |




2 ოქტომბერი

## „პრავდის" ფურცლებზე

ჩვენს ქვეყანაში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. მარტო მეცხრე ხუთწლედში ახალი ბინა მიიღო 56 მილიონმა საბჭოთა ადამიანმა. სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროგრამის შესაბამისად მეათე ხუთწლედში უნდა აშენდეს 545-550 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამ დარგში მიღწეული წარმატებები მიმდინარე ხუთწლედის პირველი წლის გასულ პერიოდში თვალსაჩინოა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

„წლის დამლევამდე ცოტაღა დარჩა, მნიშვნელობა აქვს თვითეულ დღეს. ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცეს გათვალისწინებული 111 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მით უმეტეს რომ რვა თვის შედეგები ცხადყოფს: მთელი რიგი კოლექტივები ჩამორჩებიან, ვერ ასრულებენ დავალებებსა და ნაკისრ ვალდებულებებს...

საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სწრაფი ტემპი შეუძლებელია, თუ სამუშაოები არ გადავიყვანეთ ინდუსტრიულ რელსებზე, არ ვიხმარეთ პროგრესული მასალები და კონსტრუქციები. ახლა ჩვენს ქვეყანაში მუშაობს 370-ზე მეტი სახლთსაშენებელი კომბინატი და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, სადაც პროდუქციას ნაკადურად უშვებენ. მაგრამ ზოგიერთი სახლთსაშენებელი საწარმოს სიმძლავრენი ნაკლებად დატვირთულია, ზოგი კი მოძველებულ ნაკეთობებს უშვებს. სსრ კავშირის სახმშენი, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, საშენ მასალათა მრეწველობის ხელმძღვანელები გადაჭრით უნდა დაადგნენ წარმოების განახლების კურსს, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილონ ახალი მიკრორაიონების, ქალაქებისა და დაბების მშენებელთა მოთხოვნილებანი, — ნათქვამია მოწინავე წერილში „მშრომელები მეტ ახალ ბინას მიიღებენ".

„სინთეზური ნედლეულის შეცვლით დავზოგოთ სამასი ტონა დეფიციტური მცენარეული ზეთი", — ჩაწერილია სტავროპოლის მხარის ქ. ჩერკესკის ქიმიური ქარხნის კოლექტივის 1976 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში. გასულ ცხრა თვეში დასახული ამოცანა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა. როგორ, რის შედეგად მიაღწიეს ასეთ მაღალ შედეგებს?

ამ კითხვას უპასუხებს „პრავდის" ჩერკასკელი კორესპონდენტი ვ. პანკრატოვი წერილში „დაზოგეს ძვირფასი ნედლეული".

შემოდგომის ამ დღეებში სოფლის მშრომელები ცდილობენ მაქსიმალურად შეავსონ საქონლის უხეში და წვნიანი საკვების მარაგი. როგორც სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, 27 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესი და ბუნებრივი ბალახი გათიბულია 66,8 მილიონ ჰექტარზე, რაც გეგმის 99,3 პროცენტს შეადგენს.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძობენ თივის დაზვინვას, ნათქვამია საკდესის კორესპონდენციაში „ფერმებს — საკმარისი საკვები".

პარტიის გენერალური ხაზის, კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების წარმატებით განხორციელების საქმეში პარტიული კადრების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა თეორიული ცოდნის შემდგომი გაფართოების და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმად დაუფლების დიდმნიშვნელოვან საკითხებს ეხება ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. მაშეროვის სტატია „კომუნისტური იდეურობა ჩვენი წარმატებების საწინდარია".

საერთაშორისო ინფორმაციას მკითხველი გაეცნობა „პრავდის" მეოთხე და მეხუთე გვერდებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# პასუხისმგებლობა — პერსონალური, კონკრეტული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სკკპ წევრის, თელავის რაიონის შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ე. რ. რევაზიშვილის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სკკპ წევრი ე. რ. რევაზიშვილი, რომელმაც დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა თელავის მცხოვრებ გ. თ. პეტრიაშვილთან და ანგარებითი მიზნებისათვის გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, ხელს უწყობდა ამ უკანასკნელს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სპეკულაციაში. შემოწმების მასალები გვიჩვენებენ, რომ პეტრიაშვილმა 1975-1976 წლებში სხვადასხვა დროს (უპირატესად ზაფხულის თვეებში) თბილისში ჩამოიყვანა მის მიერ თელავის ბაზარზე შეძენილი 540 ცხვარი, ჩააბარა ცეკავშირის თბილისის დამამზადებელ-გამსაღებელი ბაზის ორხევის სასაკლაო საამქროს და ხორცი სპეკულაციურ ფასად გაყიდა საკოლმეურნეო ბაზრებში. პეტრიაშვილს, რომელიც თელავში ცხოვრობდა და მუშაობდა, სოფელ შალაურში არ გააჩნდა პირადი მეურნეობა და არავითარი კავშირი არ ჰქონდა შალაურის სასოფლო საბჭოსთან.

მიუხედავად ამისა, იგი სისტემატურად წარადგენდა ხოლმე ფიქციურ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს მას პირად მეურნეობაში ჰყავდა ცხვარი, და ფიქციურ მინდობილობებს გამოგონილი პირების სახელზე, რომლებსაც გარკვეულ ფასად აძლევდა შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. რ. რევაზიშვილი. სულ გაცემული იყო 20-ზე მეტი ფიქციური ცნობა და მინდობილობა, რომლებიც, სხვათა შორის, რეგისტრირებული არ იყო გასული დოკუმენტაციის დავთრებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმიტომ მიაპყრო პარტიული ორგანიზაციების ყურადღება ამ ფაქტზე, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ ყველგან არ წარმოებს საკმაოდ ეფექტურად, რასაც, კერძოდ, მოწმობს ამგვარი უარყოფითი მოვლენები რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ყველა კომუნისტს აქტიური, შეტევითი პოზიცია არ უჭირავს ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომლებსაც, როცა ნაკლოვანებებსა და უარყოფით მოვლენებს აწყდებიან, თავი ისე უჭირავთ, თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევენ, ობივატელურ თვალსაზრისს ადგანან — „რა ჩემი საქმეა, ყველამ თავის თავს მიხედოსო". პარტიის წევრთა ასეთ პოზიციას საერთო არა აქვს რა სკკპ პროგრამასა და წესდებასთან.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ დარღვევის, ანტისაზოგადოებრივი მოქმედების თვითეული შემთხვევა მოითხოვს უაღრესად სერიოზულ ყურადღებას, იმ მიზეზების კონკრეტულ ანალიზს, რომლებმაც ისინი წარმოშვეს, გადამწყვეტი ღონისძიებების მიღებას, რომლებიც აღკვეთენ ამგვარ დანაშაულთა განმეორების შესაძლებლობას. ამის თაობაზე მითითებანი, რომლებსაც შეიცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებანი, ჯერ კიდევ ვერ გახდა მოქმედების სახელმძღვანელო ზოგიერთი პარტორგანიზაციისათვის, რის შედეგადაც, არ იგრძნობა მუშაობაში კონკრეტულობა და მუშაკების კონკრეტული პასუხისმგებლობა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გააანალიზა რა თელავის რაიონის შემოწმების მასალები, ცნო, რომ რაიონში იყო დანაშაულის ჩადენის პირობები. ჩადენილი დანაშაულის თვით ფაქტი, მასშტაბი და ხასიათი, აღნიშნულია დადგენილებაში, მოწმობს, რომ თელავის რაიონში სუსტად არის დაყენებული მუშაობა დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას აქ სისტემატური, გეგმაზომიერი, კონკრეტული ხასიათი არა აქვს, ჯერ კიდევ ვერ გამხდარა მთელი საზოგადოებრიობისა და თვითეული კომუნისტის, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის საქმე.

საგანგებოდ აღინიშნა ადგილობრივი საბჭოების როლი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. სასოფლო საბჭოები, არსებითად, თვითონვე ჩამოშორდნენ ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობას, ხოლო რაიაღმასკომმა ვერ შეძლო მათი მეცადინეობა სასურველი კალაპოტით წარემართა. შალაურის სასოფლო საბჭო, რომლის აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი თვითონ აღმოჩნდნენ დამნაშავის ხელშემწყობნი, დიდხანს ითვლებოდა მოწინავედ, არაერთხელ გამოსულა თაოსნობათა ინიციატორად. ეს მოჩვენებითს კეთილდღეობას ქმნიდა და ის გამოიწვია, რომ სასოფლო საბჭოს, მის ხელმძღვანელს კონტროლს აღარ უწევდნენ როგორც ზემოდან, რაიაღმასკომი და პარტიის რაიკომი, ისე აღმასკომის წევრები, დეპუტატები, პარტკომი, კომუნისტები და მათ შორის შალაურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელები.

იმის დასადასტურებლად, რომ სასოფლო საბჭოები ჯეროვნად არ ებრძვიან ნეგატიურ მოვლენებს, მოყვანილია ასეთი მაგალითიც: თელავის რაიონის ნაფარეულის და ფშავლის სასოფლო საბჭოების და ახმეტის რაიონის ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომების ხელმძღვანელებმა საჭირო სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს, როცა ცნობები და მინდობილობანი მისცეს თანასოფლელებს, რომლებმაც შემდეგ სამსახური გაუწიეს დამნაშავეს.

ჩადენილ დანაშაულში კონკრეტული ბრალი მიუძღვით თელავის რაიონის სოფლმშენის ავტოკოლონის მძღოლს, წინათ ორჯერ ნასამართლევ მაისურაძეს, რომელმაც სახელმწიფო ავტომანქანით ორჯერ გადაიყვანა 80

(დასასრული მე-2 გვ.).

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# პასუხისმგებლობა — პერსონალური, კონკრეტული

(დასასრული)

[illegible]
სტროს, ცეკავშირსა და მის დამზადება-გასაღების ბაზებს, შესაბამის პარტიის რაიკომებსა და რაიაღმასკომებს — და მოსთხოვა მათ საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ, რათა აღკვეთონ გულგრილობის, წაყრუების, საქმისადმი დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტები, რომლებსაც უწყებათა ცალკეული მუშაკები ურიგდებიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ვაჭრობის მდგომარეობა თელავის, თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებში. აქ უნდა დამყარდეს წესრიგი, შეიქმნა დაბრკოლებანი აღიმართოს სპეკულანტებისა და მათი მსგავსი თაღლითების გზაზე.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება თელავის რაიონული საავადმყოფოს კოლექტივს, სადაც პეტრიაშვილი სანტექნიკოსად მუშაობდა. აქ ამ კაცის ბედი საერთოდ არ აინტერესებდათ, თუმცა იცოდნენ, რომ წინათ მსჯავრდადებული იყო ხულიგნობისა და მიწის ნაკვეთის მითვისებისათვის. სუსტი აღმზრდელობითი მუშაობა, შრომის ცუდი დისციპლინა, საავადმყოფოს ხელმძღვანელობისა და პირველადი პარტორგანიზაციის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საქმისად-

[illegible]
ბის მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებაში ბრალი მიუძღვის საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომს, რომელმაც რაიონში ვერ შექმნა ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. კომუნისტთა სიგნალებისადმი რაიკომის უყურადღებო დამოკიდებულებას ის მოჰყვა, რომ რაიკომი არ აღმოჩნდა რაიონში მიმდინარე ბევრი მოვლენის კურსში, ყოველთვის არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეცა მათთვის სწორი შეფასება, დროული გავლენა მოეხდინა მათზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ თელავის რაიონში არსებული ნაკლოვანებანი და უარყოფითი მოვლენები დამახასიათებელია აგრეთვე ზოგიერთი სხვა ორგანიზაციისათვის, საწარმოსა და დაწესებულებისათვის. ამიტომ აქედან დასკვნები უნდა გამოიტანოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია საქმის ინტერესები, რესპუბლიკაში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის გადაჭრით განმტკიცების ინტერესები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თელავის რაიკომის ბიუროს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. პარტიის რაიკომის ბიუროს (ა. ვ. კობაიძეს) დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებანი, რათა ყოველნაირად გაძლიერდეს ეს მუშაობა, ყველგან შეიქმნას ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, აამაღლოს საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა, ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს, რომ დარღვევის თვითეული შემთხვევა, ყოველგვარი გადაცდომა ფართო საჯაროობისა და პრინციპული რეაგირების საგანი გახდეს.

იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო სათანადო ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოების საქმიანობისადმი, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ს. იანვარაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ ფიქციური ცნობები მისცა სპეკულანტ პეტრიაშვილს, შალაურის სასოფლო-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. რ. რევაზიშვილი გარიცხულია სკკპ რიგებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ თელავის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი, სკკპ წევრი მ. ლ. გზირიშვილი მკაცრი პარტიული სასჯელის ღირსია, რადგან პარტბიუროს მდივნად ყოფნისას სუსტად ეწეოდა ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას, მაგრამ მხედველობაში მიიღო, რომ მან ახლახან დაიწყო მთავარი ექიმის მოვალეობის შესრულება, რომ რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა განახორციელოს საავადმყოფოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, და ცენტრალურმა კომიტეტმა მითითება აკმარა.

ცნობად არის მიღებული, რომ თელავის რაიონული საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმი, სკკპ წევრი ბ. ვ. მირიანაშვილი რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსადმი ბრძანებით განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

თელავის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილის, სკკპ წევრის ამხ. მ. ბურნაძის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი მისი ავადმყოფობის გამო განსახილველად გადაეცა პარტიის თელავის რაიკომს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სუსტად არის დაყენებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სახელმწიფო სანერგე მეურნეობის პარტორგანიზაციაში. იმისათვის, რომ მოადუნა სიფხიზლე, ვერ უზრუნველყო ხელმძღვანელობაში ურთიერთმომთხოვნელობა, შალაურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ზ. ზ. ჯოხარიძეს გამოეცხადა საყვედური. საყვედური გამოეცხადა აგრეთვე შალაურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორს, სკკპ წევრს ამხ. ი. ვ. მესტვირიშვილს, რომელმაც გადამჭრელი ღონისძიებანი არ განახორციელა ე. რ. რევაზიშვილის დანაშაულებრივი მოქმედების აღკვეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მოვალე იყო ეს ექნა, როგორც კომუნისტს, როგორც სასოფლო საბჭოს დეპუტატსა და აღმასკომის წევრს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცეკავშირის გამგეობას დაავალა საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის საქარხნო რაიკომთან ერთად გაერკვეს, თუ როგორ არის საქმე თბილისის დამზადება-გასაღების ბაზის საქვეუწყებო ობიექტებში, კერძოდ, ორხევის სასაკლაო საამქროში და მიიღოს ზომები, რომლებიც აღმოფხვრიან ნაკლოვანებებსა და დარღვევებს მათს მუშაობაში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება მიეცა წესრიგი დაამყაროს საკოლმეურნეო ბაზრებში აამაღლოს სისტემის მუშაკთა სიფხიზლე და პასუხისმგებლობა სპეკულაციისა და სხვა უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხდება რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურას დაევალათ უმოკლეს ვადაში დაამთავრონ გ. თ. პეტრიაშვილის საქმის გამოძიება და შედეგები აცნობონ პარტიის შესაბამის რაიკომებს, რათა პასუხი აგებინონ პირებს, რომლებმაც გამოიჩინეს დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება სპეკულაციის ფაქტების მიმართ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების, შესაბამისი საბჭოების აღმასკომების, ადმინისტრაციული ორგანოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მორიგი კამპანია, რომ იგი მოითხოვს სისტემატურ, გეგმაზომიერ მუშაობას, მთელი ძალებისა და შესაძლებლობების დარაზმვას, რათა ძირშივე აღიკვეთოს თვით ამგვარ გამოვლინებათა შესაძლებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა იხელმძღვანელონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, უფრო ფართოდ გამოიყენონ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული ინიციატივა და კვლავაც ყოველნაირად განამტკიცონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, თვითეულ კომუნისტს, ყველა რანგის ხელმძღვანელს ჩაუნერგონ მაღალი პასუხისმგებლობის, ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეურიგებლობის გრძნობა, უფრო აქტიურად ჩააბან ამ საქმეში პარტიული კომიტეტების პარტკომისიები, მიაღწიონ, რომ ყველა კომუნისტი იცავდეს სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს. (საქინფორმი).

## ანგარიშს აბარებს რაიკომის წევრი

**საჩხერე.** პარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ მოისმინა ადგილობრივი სამრეწველო კომბინატის დირექტორის, რაიკომის წევრის ტ. წერეთლის ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კომბინატის კოლექტივი იბრძვის დავალებათა გადაჭარბებით განაღდებისათვის, მიმდინარეობს სამკერვალო საამქროსა და საკედლე ბლოკების საამქროს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის სამუშაოები.

ამასთან რაიკომის ბიურომ აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი კომბინატისა და მისი დირექტორის საქმიანობაში. ნაკლებად იყენებენ ადგილობრივ ნედლეულს, არ სრულდება საკედლე ბლოკებისა და თუნუქის ღუმელების წარმოების დავალება. შესუსტებულია კონტროლი მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვისადმი. დასახულია ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. (საქინფორმის კორ.).

□

## დარღვევებს — დაუნდობელი ბრძოლა

**ზუგდიდი.** (საკ. კორ. გ. ნოდია). აქ გაიმართა ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წალენჯიხისა და ხობის რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ზონალური თათბირი, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის წესების დაცვის უზრუნველყოფისა და დატაცება-სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებს.

მომხსენებელმა და თათბირის მონაწილეებმა მოიყვანეს ბევრი მაგალითი იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი დამამზადებელი და ვაჭრობის მუშაკი მაქინაციებითა და თაღლითობით ახერხებენ საზოგადოებრივი დოვლათის სპეკულანტურ ფასებში გაყიდვას. ეს კი იმას მოწმობს, რომ ამ მიმართულებით ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები მოუქნელად, კვლავ სუსტად მუშაობენ, არ აწყობენ რეგულარულ და ქმედითს შემოწმებებს, არ იბრძვიან მტკიცე საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარებისათვის.

არცერთი გრამი სოფლის მეურნეობის პროდუქტები — ქორვაჭრების, გადამყიდველების, სპეკულანტების ხელში, მშრომელთა ჭირნახული უდანაკარგოდ — სახელმწიფო ბეღელში! ასეთი იყო თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

□

## მოხუცის... ახალგაზრდობა

**ლაგოდეხი.** შრომაში ბევრი არა ჰყავს ბადალი სოფელ ლელიანის 80 წლის კოლმეურნეს ისიდორე მოდებაძეს. მზრუნველად უვლის იგი ვენახს. მან უკვე 20 ტონაზე მეტი რქაწითელი დაკრიფა, დავალებაზე ერთიორად მეტი.

(საქინფორმი).

### ოფიციალური განყოფილება

## დიეტურ კვებას სერიოზული გაუმჯობესება სჭირდება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივ კომისიაში

**გაიმართა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომა. მოისმინეს მოხსენება რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა — კომისიის მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ო. დოლიძემ და ორატორებმა — მუდმივი კომისიის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. კურტანიძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა ქ. ვირსალაძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ქ. გეგელაშვილმა, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ რ. ჩხაიძემ, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პრორექტორმა ს. კახიანმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა დიეტოლოგმა გ. აბდუშელიშვილმა, რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ გ. ხელაძემ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. კრიჟინაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა შესრულდა დიეტური (სამკურნალო) კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. რამდენადმე გაფართოვდა დიეტური სასადილოებისა და დიეტური განყოფილებების ქსელი. ამ დანიშნულების ობიექტები გაიხსნა დიდ სამრეწველო საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და სხვ. რამდენადმე გაუმჯობესდა მათი მომარაგება საჭირო პროდუქტებით, ძირითადად ათვისებულია ამისათვის გამოყოფილი სახსრები, გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სახსრების ხარჯზე იღებენ დიეტურ (სამკურნალო) კვებას. 1976 წელს 1973 წელთან შედარებით ერთიოთხად გაიზარდა ასიგნებანი დიეტური (სამკურნალო) კვებისათვის.

ამასთანავე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, ხორცისა და რძის, კვების მრეწველობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობასა და სხვა უწყებებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ დიეტური (სამკურნალო) კვების ორგანიზაციაში, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, პროფკავშირული ორგანიზაციები არ უწევენ მათ ჯეროვან დახმარებას და არ აკონტროლებენ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით. დიეტური კვების ბევრი საწარმო ვერ აკმაყოფილებს მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. მათი ქსელი ჯერ კიდევ ძალიან ვიწროა.

მაგალითად, 1976 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში მხოლოდ 28 დიეტური სასადილო და 76 დიეტური განყოფილება იყო (სულ 3.414 დასაჯდომი ადგილი), რაც დადგენილი ნორმის 25,4 პროცენტს შეადგენს, ხოლო სამრეწველო საწარმოებთან არსებულ სასადილოებში დიეტური (სამკურნალო) კვებისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა 7-8-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში არსებული დასაჯდომი ადგილებიდან დიეტური კვებისათვის გამოყოფილია მხოლოდ 795 დასაჯდომი ადგილი, რაც ნორმით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

დიეტური სასადილოები არ გახსნილა ფოთში, მახარაძეში, ცხაკაიაში, ზესტაფონში, ხაშურში, ქალაქ თბილისის კალინინის, 26 კომისრის სახელობის, კიროვის, ოქტომბრის, საქარხნო რაიონებში. ვაჟა ფშაველას პროსპექტზე მდებარე № 142 დიეტური სასადილო, რომელიც 70 დასაჯდომი ადგილისათვის არის გათვალისწინებული, ჩვეულებრივ სასადილოდ გადაიქცა, დაბა ახალი ათონის დიეტურ სასადილოში კი 220 დასაჯდომი ადგილის ნაცვლად მხოლოდ 104 ადგილია. წყალტუბოს დიეტურ სასადილოში (36 დასაჯდომი ადგილი) და ამ კურორტის რესტორნის დიეტურ განყოფილებაში (60 დასაჯდომი ადგილი) შემოწმების დროს დიეტური კერძები არ აღმოჩნდა.

სერიოზული ნაკლოვანებანია დიეტური პროდუქტების ვაჭრობის ორგანიზაციაში.

დიეტური სასადილოები და განყოფილებები დაკომპლექტებული არ არის სამედიცინო პერსონალით. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის დიეტური კვების ობიექტებში 104 მედიცინის მუშაკის ნაცვლად მუშაობს მხოლოდ 14, რომლებსაც ამავე დროს არა აქვთ სპეციალური განათლება, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის დიეტური კვების ობიექტებში კი არ არის არც ერთი მედიცინის მუშაკი.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში არ არის ორგანიზებული დიეტოლოგი ექიმების სწავლების ციკლი. სავაჭრო-საკულინარო ტექნიკუმებსა და სკოლებში, რომლებიც მეხუთე თანრიგის მზარეულებს ამზადებენ, არ ასწავლიან დიეტური კვების საფუძვლებსა და დიეტური კერძების მომზადების ტექნოლოგიას. დიეტური სასადილოებისა და განყოფილებების არც ერთ მზარეულს არა აქვს დიეტმზარეულის თანრიგი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ქართულად არ არის დიეტური კვების დარგის სასწავლო ლიტერატურა.

ბევრ ობიექტებში გამოვლინდა ფაქტები, როცა არღვევენ სანიტარულ ნორმებს და ისეთი პროდუქტების რეალიზაციის ვადებს, რომლებიც მალე ფუჭდება.

დიეტური კვების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვნად არ ზრუნავენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის, არ ახორციელებენ დიეტური კვების ქსელის გაფართოების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ამ დარგისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მომზადების ღონისძიებებს.

განხილულ საკითხზე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

### პირველი მეცადინეობები პარტიული განათლების ქსელში

# კარგი დასაწყისი

### იდეური აღზრდის საზომი კონკრეტული საქმეებია

**საწარმოო** გაერთიანება „ელმავალსაშენებელი“ ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს სამეცადინო ოთახში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის მსმენელები შეიკრიბნენ. პროგრამის მიხედვით წელს ისინი შეისწავლიან კურსს „სკკპ პოლიტიკა — მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში“.

პროპაგანდისტი რ. ბეციაური, რომელსაც მუშაობის ხუთი წლის გამოცდილება აქვს, მსმენელებს აცნობს პირველ თემას „სკკპ პოლიტიკა და თეორია — მოქმედებაში“, თეორიული საკითხები რომ განმარტა, პროპაგანდისტი შეეცადა დაწვრილებით ელაპარაკა პრაქტიკულ გადაუდებელ საქმეებზე. ეს მეცადინეობა კარგ დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

მსმენელები აქტიურობდნენ. მათ აღნიშნეს რომ საამქრო, მსმენელები პირველ მეცადინეობაზე წარდგნენ, როგორც მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა-ვალდებულების პირნათლად შემსრულებლები. საამქრო უშვებს ელექტროწევის ძრავებს და დამხმარე ელექტრომანქანებს. როგორც პროპაგანდისტმა თქვა, მსმენელი ტ. გელაშვილი, ჩარხავს ელექტროწევის ძრავის ჩონჩხს, რაც რთული, შრომატევადი სამუშაოა და დიდ სიზუსტეს მოითხოვს. ჩონჩხის კვალიფიციურად გამოჩარხვაზე დამოკიდებულია ელექტროწევის ძრავის გამართული მუშაობა. შრომაში სამაგალითონი არიან აგრეთვე მსმენელები ნ. ბუცხრიკიძე, ა. კევლიშვილი და საკონტროლო პუნქტის უფროსი შ. მალძიგაშვილი.

ქარხნის პარტიული კომიტეტი (მდივანი დ. ღლანიძე) პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებას სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მიუდგა. დროზე შეირჩა პროპაგანდისტები, დაკომპლექტდა სკოლები, წრეები და თეორიული სემინარები.

— 26 სკოლა და თეორიული სემინარი, — თქვა დ. ღლანიძემ, — რომლებშიც 659 მსმენელი მეცადინეობს, სკკპ XXV ყრილობის მასალებს და პროგრამით გათვალისწინებულ პრობლემებს შეისწავლის. „ფილოსოფიური ცოდნის საფუძვლების“ შესასწავლად შექმნილია ორი სკოლა, დაწყებითი პოლიტიკის სკოლებში შეისწავლიან სკკპ პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. შეიქმნა აგრეთვე სკოლები, რომლებშიც გაივლიან კურსს „სოციალიზმი და შრომა“, „საინჟინრო შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში“. ეკონომიური განათლების 35 სკოლაში ჩაბმული 850 მსმენელი. სულ ქარხნის 4.000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, 700-ზე მეტი კომუნისტი და 1.000-ზე მეტი კომკავშირელი შეუდგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის, სკკპ პოლიტიკისა და თეორიის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის ცნობილი დადგენილების საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებების შესწავლას.

პირველი მეცადინეობები თითქმის ყველა სკოლაში, წრესა და თეორიულ სემინარში, კერძოდ კი იქ, სადაც პროპაგანდისტები არიან მ. დოლიძე, გ. ჭირაქაძე, ა. ცომაია, ს. თეთრუაშვილი, ჯ. გიორგაძე, ო. ჯაფარიძე და გ. გვანცელაძე ორგანიზებულად მოეწყო. მათ გამოხატეს ყველა პროპაგანდისტისა და მსმენელის აზრი, როცა განაცხადეს, რომ სკკპ XXV ყრილობის იდეურ-თეორიული სიმდიდრის ღრმად შესწავლა ყველა მშრომელის, პარტიის ყველა წევრის წმიდათაწმიდა და საპატიო მოვალეობაა.

**ს. ყურაშვილი.**

## ვაჯამებთ პირველ შედეგებს

**მახარაძის** რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას საფუძვლად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“.

რა თქმა უნდა, მათ კარგად იცოდნენ, რომ ახლა მთავარი და აუცილებელია მთელი იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა, პროპაგანდისტული კადრების გულმოდგინე შერჩევა, სკოლების, წრეებისა და თეორიული სემინარების დაკომპლექტება მსმენელთა სურვილების გათვალისწინებით.

გაიმართა პირველი მეცადინეობები 319 სკოლაში წრესა და თეორიულ სემინარში. მეცადინეობას შეუდგა 7.900 კაცი, მათი სურვილი და მისწრაფება ერთია: საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ იდეურ-თეორიული სიმდიდრე, მიღებული ცოდნა მჭიდროდ დაუკავშირონ პრაქტიკას, პირნათლად შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები და ვალდებულებები.

პირველი მეცადინეობები განსაკუთრებით ორგანიზებულად ჩაატარეს ძველმა გამოცდილმა პროპაგანდისტებმა რ. ჩხაიძემ (შრომა), შ. ქუტიძემ (ნატანები), ვ. კილაძემ (მესამე საშუალო სკოლა), გ. ჩხაიძემ (გურიანთა), თ. მამალაძემ (ნაგომარი) და ლ. სარიშვილმა (შემოქმედი).

ახლა პირველადს პარტორგანიზაციებში ჯამდება პირველი მეცადინეობის შედეგები, აღნუსხავენ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომელთა გამოსასწორებლად დროულად განვახორციელებთ ღონისძიებებს.

**ვ. გოლიაძე,**

პარტიის მახარაძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.



**წ**ალენჯიხის რაიონში ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ქსელის ყველა რგოლში დაახლოებით 4.500 კაცი იმეცადინებს.

ახალი სასწავლო წლისათვის პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა დიდი მუშაობა გასწია.

**სურათზე:** ასე მიმდინარეობდა მზადება ახალ სასწავლო წელს პირველი მეცადინეობის დაწყებისათვის: ბიბლიოთეკის გამგე სვეტლანა შენგელია, პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე ემზარ კვიკვია და პროპაგანდისტი გურამ მანია (მარცხნიდან მარჯვნივ) მიღებული ლიტერატურის მორიგ პარტიას არჩევენ.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ხვალინდელ დღეზე ფიქრით

### მთიანი რაიონის მომავალი

**უკანასკნელი** წლების მანძილზე რესპუბლიკის მთის რაიონებში აშკარად იგრძნობა პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის კეთილნაყოფიერი გავლენა. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ლენტეხის რაიონიც. ორი წლის წინათ ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება ამ რაიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

როგორია ამ დადგენილების განხორციელების პირველი შედეგები? რა სიკეთე მიიღეს მაღალი მთის სოფლების მშრომელებმა, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში რაიონის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის, კაპიტალური მშენებლობის დაჩქარებისათვის?

—აი, საკითხები, რომელთა შესახებაც ამ დღეებში პარტიის ლენტეხის რაიონული კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა იმსჯელა.

**ბევრი** კარგი რამ გაკეთდა ლენტეხში უკანასკნელ წლებში. რაიონული ცენტრი უფრო მეტად დამშვენდა, გალამაზდა და განაშენიანდა.

დღითი დღე მატულობს რაიონში სამშენებლო ხარაჩოები. მშენებლობის დიდ გაქანებას მძლავრი სტიმული მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვამ მთიან რაიონებზე, რაც ბოლო წლებში ესოდენ მკაფიოდ იგრძნობა. ამაზე ასეთი ციფრიც მეტყველებს. უკანასკნელ 3 წელსა და 8 თვეში სამ მილიონ მანეთზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა, მაშინ როცა წინა ათი წლის მანძილზე ამ ხაზით მხოლოდ 2,5 მილიონი მანეთი იყო დახარჯული.

ეს ციფრები ცხადყოფს, რომ რაიონის მშრომელებმა კარგი სტარტი აიღეს.

მაგრამ გასაკეთებელიც ჯერ კიდევ ბევრია. რესპუბლიკის 14 სამინისტროს, კომიტეტს და უწყებას ახალ ხუთწლედში დავალებული აქვთ რაიონში 35 ახალი მსხვილი ობიექტის მშენებლობა, რომელთა მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 8 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. ასაშენებელი 29 ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაცია უკვე შედგენილია და მათი მშენებლობაც მიმდინარეობს. წელს სამშენებლო ორგანიზაციებმა 3.634 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეასრულონ, ფაქტიურად რვა თვეში ათვისებულია 1.824 ათასი მანეთი, ანუ წლიური გეგმის ნახევარი.

რაიკომის პლენუმზე, რომელიც იხილავდა „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რაიონში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — მოხსენებაში რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ტვილდიანმა და კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ჩამორჩენილი ორგანიზაციები, ისინი, ვინც ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობს. ასეთ ჩამორჩენილ ორგანიზაციათა შორის დაასახელეს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის ლენტეხის № 5 მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი კ. ჩარკვიანი), ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატი (დირექტორი ბ. ონიანი), ცეკავშირის სამშენებლო ტრესტის ამბროლაურის უბანი (უფროსი ა. გოცირიძე), მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „კოლხეთმშენის“ ტრესტის ქუთაისის № 5 სამმართველო (უფროსი ზ. გოგოძე) და „საქსოფლტექნიკის“ სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მთებში გზათა მშენებლობის სამმართველო (უფროსი ჯ. ჭოლოშვილი).

სვანეთისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს ლენტეხ-ჩიხარეშის საავტომობილო გზას. ამ გზის მდგომარეობაზე ბევრად არის დამოკიდებული რაიონის ეკონომიკის განვითარება, მშრომელთა კეთილდღეობა და მათი მომსახურების დონე.

უკვე დაიწყო აღნიშნული გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ ყველაზე პასუხსაგები საქმის შესრულება დავალებული აქვს საავტომობილო გზების სამინისტროს ამბროლაურის № 10 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კოლექტივს, რომელსაც შ. ქევანაშვილი უდგას სათავეში. ამჟამად მშენებლები მდინარე ცხენისწყალზე აგებენ ხიდს, რომელიც სოფელ ჩიხარეშს რაიონის ცენტრთან უმოკლესი გზით დააკავშირებს. გზის გაფართოებისა და ხიდების მშენებლობისათვის უკვე ათვისებულია მილიონ მანეთზე მეტი. მაგრამ რეკონსტრუქციის ტემპი საკმარისი არ არის. საქმე ის არის, რომ საავტომობილო გზების სამინისტრო რაიონისათვის ამ სასიცოცხლო არტერიაზე ყოველწლიურად მხოლოდ ერთი ან ორი კილომეტრი მონაკვეთის რეკონსტრუქციას ითვალისწინებს, ისიც გუდრონის საფარის დაუგებლად.

თუ მუშაობა ასე წარიმართა, ლენტეხ-ჩიხარეშის 35-კილომეტრიანი გზის მთლიან რეკონსტრუქციას ალბათ ოცდახუთ წელზე მეტი დასჭირდება.

რაიონში კაპიტალურ მშენებლობას ძირითადად აწარმოებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის ლენტეხის № 5 მოძრავ-მექანიზებული კოლონა. დღემდე კოლონას დაგეგმილი ჰქონდა 913 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, ფაქტიურად მხოლოდ 579.600 მანეთი სამუშაო შეასრულა და სახელმწიფო დავალება მხოლოდ 64 პროცენტით გაინაღდა. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ასამუშავებელ ობიექტებზე. სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება, 16 ასამუშავებელი ობიექტიდან საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 3 ობიექტი.

უსაყვედურეს პარტიის რაიონულ კომიტეტსაც, რომელიც მშენებელთა შორის სუსტად წარმართავს პარტიულ-პოლიტიკურ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას. რაიონული კომიტეტის წაყრუებით მშენებლობაზე თავიდანვე არ შექმნილა პარტიული ორგანიზაცია, იგი მხოლოდ ამ სამი თვის წინათ ჩამოყალიბდა, რომელშიც 7 კომუნისტია გაერთიანებული.

პარტიული და სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას უნდა მივაწეროთ ის, რომ 8 წელია შენდება ავტოსატრანსპორტო საწარმოს ახალი ორსართულიანი შენობა. ამ ხნის განმავლობაში აქ მშენებლობის ექვსი უფროსი შეცვალეს, მდგომარეობა კი უცვლელია.

უცნაურია, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოს მშენებლობა დოკუმენტებში უკვე ოთხი წელია დამთავრებულად არის ნაჩვენები. ყალბ აქტს ხელს აწერენ როგორც ყოფილი შემკვეთები, ისე მშენებლები. ასეთი კომბინაციით ჩამოწერილია დიდძალი საშენი მასალა, გაცემულია ხელფასი.

უხარისხო მშენებლობის ნიმუშია ამ ათი წლის წინათ აგებული სკოლა-ინტერნატი და რაიმილიციის შენობა-ნაგებობა, აგრეთვე მდინარე ლასკადურისაგან რაიცენტრის ტერიტორიის დამცავი კედლების ერთი ნაწილი. სკოლა-ინტერნატის უხარისხო სახურავი გადახურვა ამ ორი წლის წინათ ჩამოინგრა. სპეციალურმა კომისიამ შეადგინა შენობის რეკონსტრუქციის ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ სამუშაოს ხელს არავინ ჰკიდებს. წუნის მკეთებელთა მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს არავინ ხმარობს და ვაიმშენებლები თავს არხეინად გრძნობენ.

პლენუმის მონაწილეებმა ბევრი პრეტენზია წაუყენეს ავტოტრანსპორტელებს. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქუთაისის № 2653 კანტორამ რვა თვეში ლენტეხელ მშენებლებს 7.000 ტონა ტვირთი გადაუზიდა და გეგმა მხოლოდ 25,7 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით გაძნელებულია წყალტუბოდან რაიონში ცემენტის შემოზიდვის საქმე. ეს იმიტომ, რომ მთავარმთავრობა(?) საქართველო ცემენტს შეუფუთავად გზავნის. შეუფუთავი ცემენტის მასა ავტომანქანებში სამჯერ, ზოგჯერ ოთხჯერ ხელით იტვირთება, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს.

— ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატი ამ ოთხი ათეული წლის წინათ აშენდა, — თქვა კომბინატის დირექტორმა ბ. ონიანმა, — ამიტომ მისი ტექნიკური აღჭურვილობა ვეღარ შეესაბამება დროის მოთხოვნას. დავიწყეთ საწარმოს რეკონსტრუქცია და ახალი საამქროების მშენებლობა, მაგრამ იგი ხელი ტემპით მიმდინარეობს, „საქსამთოქიმმრეწვის“ ტრესტი ვერ გვამარაგებს საჭირო საშენი მასალებით. ავტომანქანების სიმცირის გამო გამოყოფილი მასალაც კი ვერ მიგვაქვს ადგილზე. არა გვყავს კომკურა ამწე, ექსკავატორი და სხვა საჭირო მექანიზმები, გვაკლია კვალიფიციური მუშებიც.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს ცნობილ მთამსვლელს, ალპინისტური ბანაკის „აილამას“ დირექტორს ჯ. გუგავას, რომელმაც ილაპარაკა სპორტის ამ საინტერესო სახეობის განვითარების პერსპექტივებზე, ბანაკის შემდგომი გაფართოების პრობლემებზე. ორატორმა დააყენა ხესხის ფილიალის მშენებლობის დაჩქარების, 200-ადგილიანი კლუბის აგებისა და სატელეფონო მოწყობილობის დამონტაჟების საკითხი. მან სამართლიანად უსაყვედურა კავშირგაბმულობის მუშაკებს, რომლებმაც ვერ მოაგვარეს „აილამასთან“ სტაბილური სატელეფონო კავშირის დამყარება.

პლენუმის ყურადღების ცენტრში იყო რაიონის ეკონომიკის შინაგანი რეზერვების გამოვლენა და ამოქმედება. წამყვანი დარგის — მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა. ამ დიდმნიშვნელოვან, სასიცოცხლო პრობლემებს შეეხენ თავიანთ გამოსვლაში სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის მმართველი ა. დახუნდარიძე, საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე ფ. კახიძე, პარტიის ლენტეხის რაიკომის მეორე მდივანი ბ. მელაძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ო. ზურაბიანი, ლაშხეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. ონიანი, ჩოლურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შ. გარდაფხაძე, სატყეო მეურნეობის დირექტორი ს. ჯამბურიძე, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე შ. ონიანი და სხვები.

მათ აღნიშნეს, რომ რაიონში კარგი ნაყოფი გამოიღო 12 სუსტი კოლმეურნეობის რეორგანიზაციამ და მათ ბაზაზე მეცხოველეობის სამი საბჭოთა მეურნეობის შექმნამ. ორატორებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა ერთიორად და მეტად გაიზრდება. ამასთან მოითხოვეს გადაიჭრას პირუტყვისათვის საჭირო საზამთრო ბინების მშენებლობის პრობლემა. ითქვა, რომ ახლად შექმნილ საბჭოთა მეურნეობებს 6.600 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ, საზამთრო ბინები კი მხოლოდ 3.000 სულ პირუტყვს ითავსებს. ასეთ დროს გასაკვირია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის გაერთიანების უცნაური პოზიცია, რომელმაც წლეულს ლენტეხში ერთი მეცხოველეობის ფერმის მშენებლობაც კი არ დაგეგმა. მიმდინარე წლის იანვარში, როგორც კი შეიქმნა ლენტეხისა და ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გეგმიდან ამოიღო გათვალისწინებული სამი ფერმის მშენებლობა და დიდძალი პირუტყვი უბინაოდ დატოვა. ამავე სამინისტრომ მეურნეობებს არ მისცა დიდთოვლობით დაზიანებული ფერმის სახურავების აღსადგენად გამოყოფილი შიფერი.

**ვ. ცირეკიძე,**

„კომუნისტის“ საკ. კორ.

## 3 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა



შთაუნერგეთ ყოველ მოსწავლეს, სტუდენტს კომუნიზმის იდეები, სპეტაკი მორალური თვისებები, შეაყვარეთ ცოდნა, გარჯა, მშრომელი ადამიანის პატივისცემა, მისწრაფება, რომ ჩადგნენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის რიგებში. ჰარმონიულად შეუხამეთ ერთმანეთს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა, დაუქვემდებარეთ იგი უმთავრეს მიზანს — კომუნიზმის აქტიური მშენებლის აღზრდას — რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის საპირველსექტემბრო ამ დარიგების ურყევად შემსრულებელი ყოველი მასწავლებელი მუდამ გამარჯვებული იქნება თავის დიდ საქმეში და მუდამ მოიმკის კეთილ შედეგს სწავლა-აღზრდის პროცესში.

# მოგილოცავთ!

ათასობით ასეთ მოწინავე მასწავლებელთა საუკეთესო წარმომადგენლების ერთი მცირე ჯგუფია გამოსახული ამ ფოტოსურათზე. დედაქალაქის სკოლების ამ წარჩინებულ პედაგოგებს ახლახან მიენიჭათ მეთოდისტი მასწავლებლისა და უფროსი მასწავლებლის წოდებები.

სურათზე: (მარცხნიდან) 38-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი ირინე კირვალიძე, ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის ქიმიის მეთოდისტი მასწავლებელი თინათინ კაპარავა, მე-14 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი სვეტლანა ხოჯაშვილი, 87-ე საშუალო სკოლის მათემატიკის უფროსი მასწავლებელი ნადეჟდა ტუმიანი, მე-13 საშუალო სკოლის მათემატიკის უფროსი მასწავლებელი ვლადიმერ კორელოვი, 42-ე საშუალო სკოლის ქიმიის მეთოდისტი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან ტუსკია, მე-15 საშუალო სკოლის უცხო ენების მეთოდისტი მასწავლებელი ელენე გამრეკელი, 242-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი ნელი რუხაძე, 132-ე საშუალო სკოლის ქიმიის უფროსი მასწავლებელი ეთერ ზუმბულიძე და 33-ე საშუალო სკოლის ქიმიის მეთოდისტი მასწავლებელი გალინა ეფიმოვა.

გულითადად მოგილოცავთ, მეგობრებო, ღირსეულ წოდებას, და მასწავლებლის დღევანდელ დღესასწაულს!

ვლ. გინზბურგის ფოტო.

თურმე მასწავლებლებიც ბერდებიან. მოხუცდებიან და მიდიან სკოლიდან, და მერე წვიმიან ამინდში სკოლის დერეფანში ჩამწკრივებულ სკამებზე სხვა მშობლებთან ერთად ჩამოსხდებიან ლაბადებით, რეზინის ჩექმებით ხელში, თავიანთ შვილიშვილებს რომ მოუტანის — არ [illegible]

ლაბადით ხელში, ჩემი ყოფილი სკოლის დერეფანში შევედი და ველოდი გაკვეთილის დამთავრებას, ჩემი პატარა გოგონა შინ რომ წამომეყვანა. შევხედე — სახეზე ჩუმი სევდა გადაკვროდა, ოდესღაც წყლიანი და ნებისყოფიანი თვალები ჩაქრობოდა. დინჯად საუბრობდა, მაგრამ მის სიტყვებში, მიხვრა-მოხვრაში აღარ იგრძნობდა ის ძალა, ათეული წლების წინათ ასე რომ გვაკრთობდა და აღგვაფრთოვანებდა მის მოწაფეებს. მივუახლოვდი. მან ნაღვლიანად ამომხედა, თვალები ოდნავ მოჭუტა და მერე სახეზე თავშეკავებული ღიმილი აუციაფდა...

ერთად გამოვედით სკოლიდან, მას ხელჩაკიდებული მოჰყავდა თავისი შვილიშვილი, მე კი ჩემი შვილი. ახლა ისე ვსაუბრობდით, როგორც ტოლი ტოლთან. ვიგონებდით ყველაფერს, და ისევ ცოცხლდებოდა ის დღეები, ამ ოცდაათი წლის წინ დატოვებული და მეხსიერებაში ჩარჩენილი დღეები, მისი გაკვეთილები...

ჯავახიშვილს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თამარ ჩერქეზიშვილი იმავე სკოლაში მასწავლებლად დატოვებია.

1934 წელს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, ეგრეთ წოდებულ „საპრიმეროში" მი- [illegible]

რედ მათგან „მიიღო პედაგოგიური ზიარება".

...ბევრი რამ გავიხსენეთ. გავიხსენეთ ის საშინელი ომის დღეებიც, როცა ყველაზე მეტად უჭირდა პატარა გაყინული ხელების ყურება. უჭირდა და უფრო მეტ ხანს იყო ხოლმე ჩვენთან — შინ ჩვენთვის ისე აღარ ეცალათ და იმიტომ. გვიყვარდა მაშინ წიგნები გმირებზე, მამაც მფრინავებზე, გაბედულ პიონერებზე, და თამარ მასწავლებელიც შოულობდა. მახსოვს, კლასში კედლის გასწვრივ ბაწარზე ჩამოკიდებდა წიგნებს და ყველას შეგვეძლო რიგრიგობით შინ წაგვეღო. წავიკითხავდით და მერე თამარ მასწავლებლის წიგნაკში ჩავწერდით: „დიდი მადლობა, პატივცემულო მასწავლებელო. გუშინ დედასაც წავუკითხე და ერთად მივწერეთ წერილი მამას ფრონტზე. ასეთი გმირი მინდა იყოს მამაჩემიც".

დღე უფრო ადვილი იყოო, მითხრა. ღამე კი... ღამე, როცა შავი პურის უკანასკნელ ორ ნაჭერს თავის გოგონებს მისცემდა და ისინი იძი-

მუშაკი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, მესამე და მეოთხე (?!) კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოების თანაავტორი თამარ ანტონის ასული ჩერქეზიშვილი".

ეს იყო ერთი წლის წინათ. ალბათ, უნდა გამერკვია, ალბათ, ქვეყანა უნდა შემეძრა, ოღონდ მიმეღწია იმისათვის, რომ თამარ ჩერქეზიშვილის გვარი არათუ მის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგაც შავ ჩარჩოში ჩასმული დარჩენილიყო სახელმძღვანელოს სატიტულო გვერდზე.

და ახლა ვფიქრობ: ის, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე ენერგიულად ემსახურა საბჭოთა სკოლას, კარგად იცნობდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, ის, ვინც ზედმიწევნით სწვდებოდა ბავშვის სულიერ სამყაროს, ხშირად თარგმნიდა და თხზავდა პატარებისათვის საინტერესო მოთხრობებს (მისი პიესა „ბოსტანი", რომლის საფუძველზე პ. ფალიაშვილმა ოპერა შექმნა, კარგა ხანს შერჩა სასკოლო სცენას), ის, ვინც იყო ქართული ენის მესამე და მეოთხე კლასის სახელმძღვანელოების თანაავტორი, რომლებმაც 30-ზე მეტ გამოცემას გაუძლო და მათზე მთელი თაობები აღიზარდნენ, ის, ვინც უკანასკნელი 40 წლის მანძილზე თავის მდიდარ პედაგოგიურ გამოცდილებას უზიარებდა რესპუბლიკის მასწავლებლებს, უკითხავდა ლექციებს, აქტიურად მონაწილეობდა დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამების შედგენა-გადამუშავებაში, არა მგონია ვერ შეძლებდა ახალი სახელმძღვანელოს შექმნას, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა, სახელმძღვანელოში შესატანად ვერ შეარჩევდა ახალი თაობის სულიერი მოთხოვნილებების შესაბამის ახალ ნაწარმოებებს.

დღესაც არ ვიცი, რა მოხდა. არ ვიცი, როგორ იყო, რომ სიცოცხლეში, და მით უმეტეს, როცა დაბერდა, ერთი გულთბილი სიტყვა ვერ გამოვიმეტეთ ბავშვებზე გადაყოლილი, მათი კეთილდღეობისათვის თავგადაგებული ქალისათვის, არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ გული ვატკინეთ და საფლავში ჩავაყოლეთ ჩვენი გულგრილობით გამოწვეული სევდა.

ერთი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ერთი წელია მაწვალებს ის აზრი, რომ ვერ დავეხმარეთ, ვერ მოვუარეთ მისმა მოწაფეებმა და ახლა, ალბათ, ჩვენი გულის დასამშვიდებლად ვწერ ამ სტრიქონებს, თითქოს მინდა დანაშაული გამოვისყიდო. დიახ, დანაშაული — სხვას ვერაფერს უწოდებ ამას. ვწერ ამ სტრიქონებს და, მხოლოდ მინდა ვთქვა: რატომ ვერ ვუფრთხილდებით ხშირად მოხუცებს, პედაგოგი იქნება ის, მეცნიერი თუ მუშა, ჩვენი დედა, მამა, პაპა იქნება ის თუ ადამიანი, რომელიც ჩვენი ცხოვრების დასაწყის ბილიკზე დაგვხვდა, რომ სწავლისა თუ შრომის მისწრაფება ჩაენერგა, თავისი ცოდნა გაეზიარებინა, ამქვეყნად სიკეთე და პატიოსნება ესწავლებინა. რატომ ვერ ვუფრთხილდებით ხოლმე, ასე ვთქვათ, „პენსიაზე გასულ" მოხუცებს, რომლებმაც მთელი სიცოცხლე ჩვენზე ფიქრს შეალიეს, ჩვენს ბედნიერებას მოახმარეს, კაცად გაგვხადეს, ცხოვრების გზა გვიჩვენეს, ჩვენ კი... ჩვენ წყალს ვატანთ ხოლმე მათს ნაამაგარს.

3 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა. ეს ის დღეა, როცა პატივს ვცემთ ჩვენს სახელოვან პედაგოგებს, მათს ღვაწლს, ახალგაზრდა თაობის აღზრდას რომ დასდეს. ეს ის დღეა, როცა ვიხსენებთ ძველ და ახალ მასწავლებლებს, რომლებსაც ვანდობთ ყველაზე ძვირფასს ცხოვრებაში — ჩვენს შვილებს, აღვნიშნავთ ხოლმე უპირატესად მათს დამსახურებას და არაფერს ვამბობთ მათს გრძნობებზე — იქნებ მათაც უჭირდათ რამე, იქნებ მათაც სურდათ უფრო ღრმად ჩაგვეხედა მათს სულში.

და იქნებ ეს წერილი არც კი შეეფერებოდეს დღევანდელ ზეიმურ განწყობილებას. მაგრამ განა დღესასწაულებზე მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის სასიამოვნოს, ჩვენთვის სასიქადულოს, ჩვენთვის სასიკეთოს, ჩვენს წარმატებებს უნდა აღვნიშნავდეთ? მგონი, რომ არა. ასეთ დღეებში, კარგი იქნებოდა ღრმად ჩაგვეხედა საკუთარ სულში: ჩვენმა პედაგოგებმა კი არ დაიშურეს თავიანთი ძალ-ღონე, ცოდნა, გამოცდილება იმისათვის, რომ ღირსეული შვილები დაეზარდათ სამშობლოსათვის, მაგრამ ჩვენ? ჩვენ, ჩვენ ხომ არ დავაკელით მათ ზრუნვა, ვუპასუხეთ კი მათს თავდადებას, გვახსენდება ჩვენი რვეულების სწორებაში გატარებული მათი უძილო ღამეები, ჯეროვანი პატივი ვეცით, სანამ ცოცხლები იყვნენ?..

ლია გოგიჩაიშვილი.

# ამაგდარი

## გამრჯე კაცისათვის უსაქმოგაა სასჯელი

რამდენი რამ გაგვახსენდა... ჩვენ მაშინ ვსწავლობდით მოთხრობას ყრუ მუსიკოსზე. მან ბევრი ილაპარაკა ბეთჰოვენის დიად სულზე, მის ჯადოსნურ მუსიკაზე და როცა გაკვეთილის დამთავრებას თხუთმეტი წუთი უკლდა, საკლასო ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოიყვანა. ის როიალს მიუჯდა (იმ დროს ქალთა მე-13 სკოლაში მუსიკალური სკოლაც იყო მოთავსებული და ყველა კლასში ინსტრუმენტი იდგა), და მაშინ პირველად მოვისმინეთ „მთვარის სონატა". ნელ-ნელა გაქრა ოთახიდან დაფა, მაგიდა, მერხები. ჭერმა თითქოს აიწია მაღლა, მაღლა, ოთახი გაფართოვდა, აივსო ბეთჰოვენის ჰანგებით და მთელ არსებაშიც იყო რაღაც უნაპირო და დიდი.

გამახსენდა „მარილის აკვანში" და ჩემი... ტყუილი.

— საშინაო დავალება. „მარილის აკვანში". მოკლე შინაარსი. — ხელში რვეული მეჭირა და „ვკითხულობდი" ზეპირად. „წავიკითხე" ბოლომდე, მეგონა, გამივიდა-მეთქი ეშმაკობა.

— ყოჩაღ! კარგად დაგიწერია. დაჯექი. ხუთი!

და როცა ზარი დაირეკა, ხელი გადამხვია, მიმიზიდა და საიდუმლოდ ჩამჩურჩულა:

— დღეს დამავიწყდა შენს რვეულში ჩამეხედა. ხვალ მიჩვენე, ხომ სუფთად გეწერა საშინაო დავალება?

გარშემო ჩემი ამხანაგები დარბოდნენ, იცინოდნენ, და მე პირველად არ დამეძინა იმ ღამეს.

რამდენი რამ გაგვახსენდა... როცა გვიჭირდა, ყოველთვის ჩვენ გვერდით იყო. ავად თუ გახდებოდა ვინმე, ჩვენთან ერთად მიდიოდა მის სანახავად და თუ ჭამის დროს ჭირვეულობდა ავადმყოფი გოგონა, თავისი ხელით აჭმევდა.

...წვიმდა, მაგრამ ჩვენ ვერ ვგრძნობდით, რომ ვსველდებოდით. რამდენი რამ არ მცოდნია! თურმე მასაც ჰყოლია მშობლები, ჰყოლია და, ძმები, ადრე დაობლებულა და მისი აღზრდა პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასულს მარიამს უკისრია. პატარაობას ფეხშიშველა დარბოდა სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად... მისი სოფელი კულბითი ამაღლებულ ადგილას ყოფილა გაშენებული, ზემოდან კი ციხის ნანგრევები გადმოჰყურებდა. აქ უყვარდა ამორბენა და საათობით უცქერდა ქვემოთ გაშლილ ქართლის ველს, შორს გაკაწრულ ლიახვის ხაზს.

1908 წელს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეუყვანიათ. სწავლის დროს არაურით არ გამოირჩეოდიო, მითხრა, მაგრამ ნინო მუსხელიშვილი, ლიდო ქიაჩელი და თამარ ბებურიშვილი მაინც ბევრჯერ მოუხიბლავს თავისი მშვენიერი ლექსით. წაკითხულის მოყოლა კი ძალიან უყვარდა... დირექტორს თ.

ნებდნენ, როცა თითქოს ავიწყდებოდა, რომ იყვნენ კიდევ ბევრნი — სხვა ბავშვები, მისი ორი გოგონას გარდა, ვიყავით ჩვენ, მისი მოწაფეები, სიყვარულით რომ შევაჩერდებოდით ხოლმე კლასში შემოსულს და გავიღიმებდით, იმიტომ რომ თვითონ შემოდიოდა ღიმილით. იამზე იყო მისი ავად თუ ნინო, მაინც ვერაფერს ვამჩნევდით, რადგან კლასში ღიმილით შემოდიოდა და ჩვენთან ერთად ხატავდა ყვავილებს, ამბობდა ლექსებს...

მასწავლებლები არ ბერდებოდნენ — მეგონა. თურმე ისინიც ბერდებიან, თურმე ისინიც მიდიან სკოლიდან. და აი თამარ მასწავლებელმაც გულისტკივილით დატოვა იგი და დიდხანს, იქნებ სიკვდილამდეც გაჰყვა სევდა, ენით აუწერელი სევდა. მით უმეტეს, როცა გრძნობდა — კიდევ შეეძლო რაღაცის გაკეთება, სხვა რომ არაფერი, ახალგაზრდა მასწავლებლებს მაინც გაუზიარებდა თავის დიდ გამოცდილებას.

ვუსმენდი და გული მტკიოდა. გული მტკიოდა იმიტომ, რომ ვნანობდი — ჩემი შვილი, რომელიც ახლა გვერდით მოგვყვებოდა და თვალებგაფართოებული გვისმენდა, ვერასოდეს ვერ დაესწრებოდა მის გაკვეთილს, ვერ შეიგრძნობდა იმას, რაც მე და ჩემმა ამხანაგებმა შევიგრძენით.

— ახლა პერსონალური პენსიონერი გახლავარ, ხომ გაგიგონია, „მოვხუცდი და გადავხუცდი, ამ ქვეყანას რაღას ვუცდიო", — მითხრა. მითხრა და თვალის უპესთან ცრემლი შეიმშრალა. — ქართული ენის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს თანაავტორობაც კი ჩამომართვეს...

— როგორ-მეთქი! — გავოცდი.

— აბა რა გითხრა. გადავშალე ერთ დღეს მეოთხე კლასის ქართული ენის ახალი სახელმძღვანელო და ჩემი გვარი ვეღარ ვიხილე ყდაზე. ალბათ, დავბერდი, აღარაფერი შემიძლია. მაგრამ გული რომ არ მითმენს? ბავშვებთან ყოფნა რომ მწყურია? მართალი უთქვამს ჩვენს ხალხს: გამრჯე კაცისათვის სასჯელი უსაქმობააო.

გავშრი. მერე ძლივს მოვახერხე ორიოდე დამამშვიდებელი სიტყვა მეთქვა. იმასაც დავპირდი, მაგ საქმეს გავარკვევ-მეთქი. მეგონა დრო კიდევ მქონდა.

მაგრამ ამ შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაზეთებში წავიკითხე მისი გარდაცვალების ამბავი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებოდნენ, რომ „73 წლის ასაკში გარდაიცვალა სახალხო განათლების თვალსაჩინო

# ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრა

ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა შეხვედრა მოსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სატირის თეატრის კოლექტივთან. აქ შეიკრიბნენ თბილისის თეატრების მსახიობები და რეჟისორები, თეატრალური ხელოვნების მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები, რათა მისალმებოდნენ ძვირფას სტუმრებს, მათთვის მელოცათ საქართველოს დედაქალაქში გამართული გასტროლების დიდი წარმატება.

მოსკოველ მსახიობებს გულთბილად მიესალმა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე. საპასუხო სიტყვაში მოსკოვის სატირის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. პლუჩეკმა აღნიშნა რუსთაველის სახელობის თეატრის ამასწინანდელი გასტროლების დიდი წარმატება მოსკოვში, მისი სპექტაკლის „კავკასიის ცარცის წრის" ტრიუმფი, რ. ჩხეიძისა და ი. გიგოშვილის შთაგონებული და შთამბეჭდავი თამაში.

დიდი სიამოვნება მიანიჭეს მაყურებლებს რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტებმა ა. მირონოვამ, ა. შირვინდტმა და ზ. ვისოკოვსკიმ, რომლებმაც შეასრულეს სკეტჩები. კონცერტში, რომელიც მიჰყავდათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს დ. მჭედლიძესა და ი. რუსინოვს, მონაწილეობდნენ აგრეთვე თბილისის ოპერისა და ბალეტის, გრიბოედოვის სახელობის, მუსიკალური კომედიის, მინიატურებისა და რუსთაველის დრამატული თეატრების მსახიობები. (საქინფორმი).

# გაზეთის გარდამავალი თასი მოწინავე ფერმას

საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის კოლექტივს რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების" გარდამავალი თასი მიენიჭა. მიმდინარე წლის რვა თვეში ფერმაში ყოველ ძროხაზე მიღებულია 1.104 კილოგრამი რძე, სულ კი 350 ცენტნერი — შარშანდელზე 46 ცენტნერით მეტი.

ფერმის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა 15 ოქტომბრისათვის შეასრულონ. (საქინფორმი).

# სტუმრად — „მზიური"

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური" ამასწინათ ჯერ ქობულეთს ეწვია, შემდეგ კი ლანჩხუთის რაიონს.

მასპინძლებმა საყვარელი ანსამბლი გულთბილად მიიღეს, გააცნეს ქალაქი ლანჩხუთი და სოფელი ნინოშვილი. ნორჩებმა დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი, მამული, სადაც დაიბადა და სადაც განისვენებს მწერალი. ე. ნინოშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია სტუმრებს გააცნო სახლ-მუზეუმის დირექტორმა მ. ვადაჭკორიამ.

ამავე დღეს „მზიური" „კოლმეურნის" სტადიონზე ღია ცის ქვეშ 15 ათასი მაყურებლის წინაშე წარსდგა. მის ყოველ სიმღერას მხურვალე ტაშით ხვდებოდნენ. „გრენადა" (სოლისტი თ. გვერდწითელი), „რუსთაველი" (სოლისტი მ. სირაძე), რუმინული სიმღერა „ტოროლა" (სოლო ვიოლინოზე ლ. ცარციძის), „კრიმანჭული" (სოლისტი თ. ჰოხონელიძე) მსმენელებს განსაკუთრებით მოეწონათ.

კონცერტის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და საჩუქრები.

ზ. მხეიძე.

---

## 2 ოქტომბერი

# მსოფლიოს ამბები

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

ფაქტები, პრობლემები

# შეხვედრა თეთრ სახლში

[illegible]

რომელსაც მიაღწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის ვლადივოსტოკის შეხვედრის დროს 1974 წლის ნოემბერში.

საბჭოთა კავშირის მხრივ გა- [illegible] ლებს ერთობლივად შემუშავებულ კურსს, რომელიც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს. იგი ამასვე მოელის შეერთებული შტატებისაგან.

ამასთან ითქვა, რომ ბოლო ხანებში ამერიკის მხრივ ადგილი [illegible] ბრინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. კორნიენკო; ამერიკის მხრივ — სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი, თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხისმგებელი თანამშრომლები უ. ჰაილენდი და ჰ. სონენფელდტი.

საქდესი

# ტელეტაიპის ლენტიდან

### გამოფენა გაიხსნა

● ბონი. მაინის ფრანკფურტში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა — „1890-1917 წლების რუსული ფერწერა". გამოფენაზე წარმოდგენილია რუს მხატვართა 70-ზე მეტი ნაწარმოები მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმების კოლექციებიდან.

გამოფენა, რომელიც მოეწყო სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კულტურული გაცვლის ფარგლებში, მიუნხენშიც იქნება ნაჩვენები.

### არჩევნებისათვის მზადება დაიწყო

● ბისაუ. გვინეა-ბისაუს რესპუბლიკაში დაიწყო ეროვნული სახალხო კრების არჩევნებისათვის მზადების კამპანია. არჩევნები მიმდინარე წელს გაიმართება. არჩევნების ამოცანებისა და მიზნების ახსნა-განმარტებისათვის ქვეყნის ყველა რაიონში მიდიან რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

### დიდი ზარალი გვალვის გამო

● კოპენჰაგენი. გვალვამ დიდი ზარალი მიაყენა საერთო ბაზრის ქვეყნების სოფლის მეურნეობას. ოფიციალური მონაცემებით, წელს მარცვლეულის მოსავალმა ევროპის ეკონომიური გაერთიანების წევრ ქვეყნებში შეადგინა 90,9 მილიონი ტონა, მაშინ როცა 1975 წელს 97,1 მილიონი ტონა იყო. კარტოფილის მოსავალი შემცირდა 25 პროცენტით. ეს ყველაზე მცირე მოსავალია 1970 წლის შემდეგ.

### აღმოაჩინეს ახალი საბადო

● დელი. გეოლოგიური საძიებო სამმართველოს სპეციალისტებმა ორისისა და ანდჰრა-პრადეშის შტატების სასაზღვრო რაიონებში აღმოაჩინეს ინდოეთში უმდიდრესი „ბოქსიტების სარტყელი". როგორც განაცხადა ფოლადისა და შახტების სახელმწიფო მინისტრმა ჩ. ისლამმა, ახლად აღმოჩენილი ბოქსიტების საბადოს ფართობი 7.500 კვადრატული კილომეტრამდეა, ხოლო საერთო მარაგი, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით ათას მილიონ ტონას შეადგენს.

### ინერგება ახალი სისტემა

● ისლამაბადი. პაკისტანის რეწვებში ინერგება მანძილისა და ტვირთის წონის საზომი მეტრული სისტემა. დღემდე ამ ქვეყანაში იყენებდნენ ზომის ადგილობრივ და ინგლისურ სისტემებს, რაც დიდ არეულობას ქმნიდა.

# თ. სტაფორდი: მზად ვარ ახალი ერთობლივი ფრენისათვის

ვაშინგტონი, (საქდესი). აქ გაიმართა გენერალ ტ. უაიტის სახელობის პრიზით ცნობილი ამერიკელი ასტრონავტის თომას სტაფორდის დაჯილდოების ცერემონია. დაჯილდოების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალმა თ. სტაფორდმა ეს მაღალი ჯილდო დაიმსახურა „ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის ეროვნულ პროგრამაში შეტანილი დიდი წვლილისათვის და, უწინარეს ყოვლისა, „სოიუზ"-„აპოლონის" ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირთან ერთად განხორციელდა".

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლებმა, რომლებიც ცერემონიაზე გამოვიდნენ, ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ კოსმოსში საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა" და „აპოლონის" ერთობლივი გაფრენა და შეპირაპირება ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა. ამით, თქვეს ორატორებმა, საფუძველი შეექმნა კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში შემდგომ ერთობლივ ღონისძიებებს.

მე ოთხჯერ ვმონაწილეობდი კოსმოსურ ფრენაში და სულ 500 საათზე მეტი გავატარე კოსმოსში, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის კოსმოსური ეკიპაჟის „აპოლონის" მეთაურმა თ. სტაფორდმა. მე წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო „ჯემინისა" და „აპოლონის" პროგრამებში, მაგრამ ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე კოსმოსში საბჭოთა ხომალდის „სოიუზის" ეკიპაჟთან შეხვედრამ და ერთობლივმა მუშაობამ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დარგში საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა ასევე წარმატებით გაგრძელდება.

შეკითხვაზე, მზად არის თუ არა საბჭოთა კოსმონავტებთან ერთად ფრენისათვის, თ. სტაფორდმა ღიმილით უპასუხა რუსულად: „რა თქმა უნდა, მუდამ მზად ვარ".

# ერთიანობის მანიფესტაცია

ლისაბონი, (საქდესი). დედაქალაქის სტადიონზე გაიმართა პორტუგალიელ დემოკრატთა და ანტიფაშისტთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგი მოაწყო ხალხის ერთიანობის საარჩევნო ფრონტის საერთო ეროვნულმა საკოორდინაციო კომისიამ. საარჩევნო ფრონტს მხარს უჭერენ პორტუგალიის კომუნისტური პარტია, პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობა, ბევრი უპარტიო დემოკრატი. მიტინგზე წაიკითხეს საარჩევნო ფრონტის მიმართვა ყველა პორტუგალიელი ამომრჩევლისადმი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალ, დეკემბრის არჩევნებთან დაკავშირებით.

### კარიკატურისტის კომენტარი

ჩრდილოელ და სამხრეთელ კორეელთა ინტერესები, მშვიდობიანი დემოკრატიული გზით და გარედან ჩაურევლად სამშობლოს გაერთიანებისათვის რომ იბრძვიან, ისე როგორც შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები მოითხოვს, რომ სეულელმა ხელისუფლებმა და მათმა მფარველებმა შეწყვიტონ იარაღის ჟღარუნი (გაზეთებიდან.




დაბრკოლება გზაზე.

ბ. ლომიძის ნახატი.

---

## ქვეყნები და ტრადიციები

# ... ბურუნდიელებს

თითქმის ყველა ხალხს აქვს ისეთი ღრმად ფესვგადგმული ტრადიციები, რომლებიც დღესაც კი — ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში — შემორჩენილია და ხალხი მტკიცედ იცავს მათ. ასეთი ტრადიციები არის პატარა აფრიკულ ქვეყანა ბურუნდშიც, რომელიც აფრიკის „გულში", უდიდესი ტბის ტანგანიკის სანაპიროზე მდებარეობს. თანამედროვეობა ბურუნდში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ. ეს არის თანამედროვე რეაქტიული ლაინერები, რომლებიც ქვეყნის დედაქალაქის ბუჟუმბურის საერთაშორისო აეროპორტში ეშვებიან, უახლესი მარკის ავტომანქანები მთებში დაკლაკნილ გზებზე, რადიომიმღებები და მაგნიტოფონები მაღაზიების ვიტრინებში.

მაგრამ ბურუნდში ბევრი რამ ძველიც შემორჩა. მაგალითად, სახელის დარქმევის უძველესი ტრადიცია.

ბურუნდის მკვიდრთა ოჯახებში დაბადებულ ბავშვს მაშინვე არ არქმევენ სახელს. მათი აზრით, „სახელი არ სჭირდება მას, ვისაც პასუხის გაცემა არ შეუძლია". ჩვილი ბავშვი უბრალოდ კაიოიაა — „პატარა ფრთა". და მხოლოდ მაშინ, როცა ყრმა წამოიზრდება, მას ეკლესიაში ქრისტიანულ სახელს არქმევენ, ხოლო მშობლები, ნათესავებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან მოთათბირების შემდეგ, მეორე სახელს არქმევენ იმის მიხედვით, თუ როგორი ზნისაა ბავშვი და რა გარემოებაში დაიბადა იგი. თუ ბავშვი არაფრით გამოირჩევა და მისი დაბადებისას ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, მას შეიძლება დაარქვან ნტამაზინა — „ის, ვისაც სახელი არ აქვს".

ხშირად ბავშვის სახელი წარმოდგება მისი ფიზიკური და მორალური თვისებებისაგან. გოგოს არქმევენ მუხირვას — „ბედნიერი", მუზანოსას — „ლამაზი" ან ნკუნდვას — „ის, ვინც უყვართ". ბიჭს შეიძლება უწოდონ მუბანგუკა — „სწრაფი", სტახონდი — „უჩინარი", ნტახომპაგაზე — „დაუდგრომელი". სუსტ ბავშვს არქმევენ ნიმპაგარიტსეს — „ის, ვისაც ღმერთი იცავს". სახელებში აისახება აგრეთვე მშობლების მიერ შემჩნეული ბავშვების ხასიათის ნაკლოვანი მხარეები. ულამაზო და ჯიუტ ბავშვს შეიძლება ერქვას „პატარა ძაღლი" ან „ყოველგვარი ნაკლის მქონე". ბურუნდში ხშირად გაიგონებთ სახელს, რომელსაც ახლავს თავსართი „კა", რაც ყოველივე პატარის გამომხატველია. იყო შემთხვევა, როცა მაღალ და ბრგე ვაჟკაცს ერქვა კატო კატო — „ერთი ციცქნა". მშობლებს, რომლებმაც ბავშვობაში ეს სახელი შეარქვეს, ვერ წარმოედგინათ, რომ მათი შვილი 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი სიმაღლისა გაიზრდებოდა.

ბურუნდის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უწიგნურია. მიუხედავად მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია ცხოვრების დონე. სანიტარიისა და ჰიგიენაზე მეტ წილ მოსახლეობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ამიტომ ხშირად სახელები ასახავს მშობლების შიშს შვილის მომავლისადმი, მათს სურვილს დაიცვან იგი შავბნელი ძალების ზეგავლენისაგან, მშობლები ცდილობენ „უზენაესი არსების გულის მოგებას" და მისი მფარველობის იმედით ბავშვებს არქმევენ: ხაბიალიმანას — „ღმერთმა მომცა", ბიზიმანას — „ღმერთი ყოვლისშემძლეა, მან ყველაფერი იცის", ნდიკუმანას — „ღმერთის შვილი" და ა. შ. მაგრამ მარტო „უზენაესი არსების" მფარველობა საკმარისი როდია, საჭიროა სიკვდილის „გულის მოგებაც". ბურუნდიელთა აზრით, სიკვდილის ოდნავი მინიშნებაც კი საკმარისია, რომ იგი ბავშვს არ გაეკაროს. აქედან წარმოდგება ისეთი სახელები: რურიხაფე — „იგი აქ არაა, იგი სახლშია", ნტირიეხორვა — „მასზე შურს არ იძიებენ".

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წლებში და მისი მოპოვების შემდეგ გამოჩნდა ახალი სახელები. მაგალითად, ბურიკურიე — „ბურუნდი დამოუკიდებელი ქვეყანაა". ასეთ სახელს კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე სიამაყით ატარებს. ამას იუწყება საქდესის კორესპონდენტი ბუჟუმბურიდან.

---

## მეგობრების ღიმილი

# არ გათეთრდება ყორანი..

*იოანა ვილინსკა (პოლონელი)*

რედაქციაში შემოსულ კაცს იღლიაში ქაღალდის გრაგნილი ჰქონდა ამოჩრილი. ამოვიღხრე და ხელით სკამზე ვანიშნე. სტუმარი სკამის კიდეზე ჩამოჯდა და გრაგნილი მოუხერხებლად დაიდო მუხლებზე.

— რითი შემიძლია გემსახუროთ?

— თუ ნებას მომცემთ, ჯერ რამდენიმე სიტყვას საკუთარ თავზე მოგახსენებთ.

— ბრძანეთ, — ვუთხარი და კიდევ ერთხელ ამოვიხვნეშე.

— მინდოდა, გამეფრთხილებინეთ, რომ პროფესიონალ მწერლად არ ვითვლები.

— დიახ...

— ომამდე კაფელის ქარხანაში ვმუშაობდი.

— კეთილი...

— დიდი ქარხანა იყო, კაფელი ვაგონებით იგზავნებოდა.

— ჰო...

— და აი ერთი ვაგონი დაიკარგა. პირობითი სასჯელი დამედო ერთი წლის ვადით.

— დიახ...

— მერე საავტომობილო სახელოსნოში ვმუშაობდი.

— კი...

— მაგრამ ავტომობილებს ძრავები აქვთ. ჰოდა, სათადარიგო ნაწილები თავსაყრელად მოდიოდა, და რადგან ასე განუსაზღვრელი რაოდენობით მოდიოდა, შეიძლებოდა მისი გატანა და გაზიდვა. ერთი სიტყვით, ეს საჩემო სამუშაო არ იყო.

— დიახ...

— წელიწადნახევარი ავიკიდე.

— ჰო...

— სასჯელი რომ მოვიხადე, ბუღალტერიაში გადავედი სამუშაოდ. ბუღალტერიაში სათადარიგო ნაწილები არა ყრია, ხომ სწორია?

— დიახ...

— მაგრამ სხვა შესაძლებლობაა. ვინმე როგალსკისთან თანამშრომლობა მომიწია. სოლიდარულად ორ-ორი წელი ავიკიდეთ. მაგრამ სწორედ ამ დროს ამნისტია გამოცხადდა.

— კი...

— ალბათ გიკვირთ, ყოველივე ამას რატომ მიყვებაო, მაგრამ ეს აუცილებელია ჩემი მდგომარეობის შესაფასებლად, მე საკუთარ თავს ვებრძოდი, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ. „წახვალ, შე საძაგელო, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — წახვალ სამუშაოდ ისეთ ადგილას, სადაც არაფრის მოპარვა აღარ შეიძლება. აბსოლუტურად არაფრის... დიახ... მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო. ჩვენი მხარე მდიდარია, და ძნელია ისეთი ადგილების პოვნა, სადაც შეუძლებელია რამე არ მოიპარო. კერძო სექტორში გადავედი.

— ჰო...

— პოლიციამ ზუსტად იმ მომენტში ჩამავლო, როდესაც საკუთარი მაღაზიის ვიტრინიდან გამომქონდა საქონელი. აქ კი მივხვდი, რომ უკვე საბოლოოდ ხელიდან წასული კაცი ვიყავი! და სწორედ მაშინ დავიწყე წერა. ახლა თქვენთვის გასაგებია, თუ რას წარმოადგენს ჩემთვის ეს ხელნაწერი. მინდა მჯეროდეს საკუთარი თავისა. მინდა ვირწმუნო, ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის-მეთქი. და აი შემოქმედებითს საქმიანობას ვეწევი. ძალიან გთხოვთ ეს ნაწარმოები წაიკითხოთ.

გრაგნილი გავხსენი. პოემა იყო. შემდეგი სიტყვებით იწყებოდა:

„სიდარბაისლით ცნობილ
ბიძაჩემს,
უძლურებამ რომ ხელი დარია..."

დიახ, მისი მავნე ჩვევის მსხვერპლი ამჯერად პუშკინის „ევგენი ონეგინი" გამხდარიყო.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



# დ ღ ე ს მოსკოვში

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

## მთელი პლანეტის მუსიკა...

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაიწყო ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრის გასტროლები... სტუმრები მოსკოველებს ოთხ პროგრამას უჩვენებენ. აჟღერდება მოცარტის, ბეთჰოვენის, ბრამსის, რაველის, შტრაუსის, სტრავინსკის, მალერის და ბარტოკის დიდებული მუსიკა. ერთ-ერთ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი საბჭოთა პიანისტი ე. გილელსი.

საუბარში მოსკოვის ფილარმონიის დირექტორმა ა. კუზნეცოვმა გვითხრა — სეზონის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება დიმიტრი შოსტაკოვიჩის ნაწარმოებების კონცერტების ციკლი, რომელიც დიდი საბჭოთა კომპოზიტორის დაბადების 70-ე წლისთავს ეძღვნება. გამოშვებული იქნება სპეციალური აბონემენტი, რომლის პროგრამაში შევა სიმფონიები, ინსტრუმენტული კონცერტები და კომპოზიტორის ვოკალური ციკლები.

ჩვენს პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მოძმე რესპუბლიკების მუსიკას.

სოლო კონცერტებს გამართავენ მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები ს. რიხტერი, ლ. კოგანი, ე. გილელსი, ავადმყოფობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სცენას ევგ. სვეტლანოვი. მოსკოველები ყოველთვის დიდი სიყვარულით ეგებებიან თქვენს შესანიშნავ მუსიკოსებს ელისო ვირსალაძეს, ლიანა ისაკაძეს, მარინე გოგლიძე-მდივანს და ჯერ სულ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ორი სერიოზული კონკურსის ლაურეატს ეთერ ანჯაფარიძეს. მათთან შეხვედრა მოსკოველთათვის ნამდვილი ზეიმია...

## „ტუ-104" საპატიო კვარცხლბეკზე

ვნუკოვოს აეროპორტის შენობის წინ, ფართო მოედანზე ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა მონუმენტი — რეაქტიული ლაინერი „ტუ-104". იგი თითქოს გასაფრენად შემართულა საპატიო კვარცხლბეკზე...

„ეს ერთადერთი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავია მთელ მსოფლიოში, რომელიც სერიულად გამოდის და მგზავრები გადაჰყავს" — ასე წერდა 20 წლის წინათ ამერიკის დეპეშათა სააგენტო.

ამ მხრივ საბჭოთა კავშირმა ორი წლით ჩამოიტოვა უკან მსოფლიოს ისეთი ქვეყნები, როგორიც არის აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და იაპონია. მხოლოდ 1958 წლის მიწურულს გამოჩნდა ამერიკული „ბოინგ-707", ინგლისური „კომეტა-IV" და 1959 წელს — ფრანგული „კარაველა"...

სამი წლის განმავლობაში „ტუ-104-მა დაამყარა 26 მსოფლიო რეკორდი სიჩქარესა და ტვირთამწეობაში.

**დ. მაჭავარიანი.**

## შრომა ბედნიერებაა



ცხოვრების გრძელი გზა განვლო თემირ ვანაჩამ. იგი უკვე 119 წლისაა, მაგრამ დასვენებას ჯერ არ აპირებს. ყოველ კარგ ამინდში მას ნახავთ კალათით ხელში გუდაუთის რაიონის მშობლიური სოფლის ლიხნის ჩაის პლანტაციაში ან თამბაქოს ფოთლების შეტეხვაზე.

— ეს მარტო ფიზიკური ვარჯიში როდია, — ამბობს ვანაჩა. — არ შემიძლია უშრომელად ცხოვრება. შრომა ბედნიერებაა. თუ მოწინავეებში არ ვარ, ყოველ შემთხვევაში შემიძლია ვთქვა, რომ მარტო წლეულს 2500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე და ასობით ზონარმეტრი თამბაქო ავაცვი.

სურათზე: ას ათი წლის კოლმეურნე თ. ვანაჩა თამბაქოს ფოთლების შეტეხვაზე.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმას ფოტოქრონიკა).

## ჭადრაკი

# პირველი ტური

### 36-ე საკავშირო პირველობა

თბილისურას მოჭადრაკე უყოველთვის მღელვარებით მოელის. ვფიქრობთ, ეს გასაგებიც არის. წილისყრა არ გახლავთ ფორმალობა, იგი მომავალი 17 ტურიანი ბრძოლის „დისპოზიციის" შედგენის საშუალებას იძლევა, თვითეული მონაწილე (ვინც უნდა იყოს იგი) გულის სიღრმეში მეტოქეებს ორ ჯგუფად ყოფს: ძლიერ კონკურენტებად და ე. წ. „მომარაგების განყოფილების წარმომადგენლებად" (ე. ი. ისეთებად, რომლებთანაც წინასწარ ქულა უნდა „დაგეგმო") ვინ არის პირველი და ან მეორე, ამას არცერთი მონაწილე არ გეტყვით. ჩვენი მხრივ მაინც უნდა დავსძინოთ, რომ ამ ჩემპიონატში „მომარაგების განყოფილება" (თუ კი საერთოდ იარსებებს) დიდი არ იქნება.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ შეჯიბრებაში ჩაება კიდევ ერთი თბილისელი მოჭადრაკე — საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული ოსტატობის კანდიდატი ციცინო კახაბრიშვილი. იგი ადრე ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის კანდიდატად ითვლებოდა, და ცხადია, ძალიან უნდოდა თამაში. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონატში თამაშისაგან თავი შეიკავა საერთაშორისო ოსტატმა ელენე ფატალიბეკოვამ. ეტყობა, საზონთაშორისო ტურნირისათვის მზადებას ამჯობინებს.

გავიხსენოთ, რომ სწორედ ასე მოიქცნენ კოზლოვსკაია და ლიტინსკაია (შული). კახაბრიშვილი ნიჭიერი და საკმაოდ გამოცდილი მოჭადრაკეა. ახლა მას საშუალება მიეცემა იბრძოლოს ოსტატის წოდებისათვის. საინტერესოა, რომ ორი წლის წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ შეჯიბრებაში ციცინომ საერთაშორისო ოსტატის ბალი მოიპოვა. მოჭადრაკეები საკმაოდ „ცრუმორწმუნეები" არიან და ამჩნევენ, რომ უკანასკნელ მომენტში ტურნირში დაშვებული მონაწილე, როგორც წესი, წარმატებით თამაშობს. მართლაც შეიძლება უამრავი ასეთი შემთხვევის დასახელება.

შეჯიბრების რეგლამენტს თუ შევეხებით, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი საკმაოდ შეღავათიანია — ყოველ ორ ტურს გადადებული პარტიების დამთავრება მოჰყვება, ასე რომ, მოჭადრაკეები პირობებს ვერ დაემდურებიან.

გუშინ პირველ ტურში დამთავრდა 4 პარტია. ჩიბურდანიძემ მოუგო ჟივაევას, სემიონოვამ — ბელავენეცს, ახშარუმოვამ — ფომინას. საუნინა და კახაბრიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

**გ. გამრეკელი.**

## ფეხბურთი

# გუშინ...

## მოსკოვში

„ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის ერთი მატჩი გაიმართა მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე — ცსკა მასპინძლობდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს". მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 5:1.

## თბილისში

„ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა თბილისისა და კიევის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 3:3 (1:2). ბურთები გაიტანეს: თბილისელთაგან — ესებუამ, ქორიძემ და ძებისაშვილმა, კიეველთაგან — შარიიმ (2) და ხაპსალისმა.

თბილისელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: იმნაძე (გაგოშიძე), რუხაძე, ჭელიძე, ჭილაია, მელიქია, მინაშვილი, ებანოიძე, ქორიძე, ესებუა, ბაზაზაშვილი, ძებისაშვილი.

## ქუთაისში

„ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ტორპედოსა" და გროზნოს „ტერეკს" შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:1 (2:0). ტორპედოელთაგან წარმატებას მიაღწიეს ოქროპირაშვილმა (2) და ფარულავამ.

# დ ღ ე ს...

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართება 6 შეხვედრა: ერევანში „არარატი" იასპარეზებს „შახტიორთან", „დნეპრი" უმასპინძლებს „ჩერნომორეცს", „კარპატი" — „ზარიას", „ზენიტი" — „ტორპედოს", მოსკოვის „დინამო" — „ლოკომოტივს", თბილისის „დინამო" — კიევის „დინამოს".

სულ თბილისისა და კიევის დინამოელები საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთს 68-ჯერ შეხვდნენ. 23 მატჩში გაიმარჯვეს ქართველმა ფეხბურთელებმა, 26 შეხვედრა დამთავრდა ფრედ, ხოლო 19 — კიეველთა უპირატესობით, ბურთების სხვაობაა 104-91 თბილისელთა სასარგებლოდ.

საჭადრაკო კლუბი „მერანი"

# მეასე

„მერნის" დღევანდელი გამოშვება საიუბილეო, რიგით მეასეა! მეოთხე წელია, რაც გაზეთის საჭადრაკო კლუბსა და მის მრავალრიცხოვან მკითხველებს შორის მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული. ამ ხნის განმავლობაში რედაქციამ საჭადრაკო ხელოვნების თაყვანისმცემელთაგან ათი ათასზე მეტი წერილი მიიღო! ეს ციფრი უდავოდ მეტყველებს ჩვენს რესპუბლიკაში ჭადრაკის დიდ პოპულარობაზე.

## საუკეთესო...

იმ რჩეულთა რიცხვს, რომელთა მოღვაწეობამ განუმეორებელი კვალი დატოვა ჭადრაკის ისტორიაში, მიეკუთვნება რუსეთში დაბადებული, ხოლო შემდეგ საფრანგეთში მცხოვრები დიდოსტატი საველი ტარტაკოვერი (1887-1956). ამასთან იგი იყო ბრწყინვალე თეორეტიკოსი, ჟურნალისტი და ლიტერატორი, რომლის ნაშრომები ამჟამად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. როგორც თავად ხუმრობით ამბობდა, იგი იყო „საუკეთესო მოჭადრაკე ჟურნალისტებს შორის და საუკეთესო ჟურნალისტი მოჭადრაკეებს შორის".

როცა საბჭოთა დიდოსტატმა ვ. რაგოზინმა ტარტაკოვერს ჰკითხა, თუ რატომ არის, რომ საფრანგეთში გაცილებით ნაკლები მოჭადრაკეა მას სამაგიდო წიგნებზე გაზრდილი, ვიდრე საბჭოთა კავშირში, ტარტაკოვერმა უპასუხა: — თქვენთან, 200 მილიონი მცხოვრებიდან 100 მილიონს ესმის ჭადრაკი. საფრანგეთში კი 40 მილიონი მცხოვრებიდან მხოლოდ 5 ათასი ცდილობს თავი მოჭადრაკედ მოგვაჩვენოს.

ს. ტარტაკოვერს ბევრი სხარტული გამოთქმა ეკუთვნის. რომელთა გაცნობა ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული.

საჭადრაკო პარტიაში, ჩვეულებრივ, სამი ფაზაა: დებიუტი, სადაც თქვენ იმედოვნებთ მიიღოთ უკეთესი პოზიცია; მიტელშპილი, სადაც თქვენ გგონიათ, რომ უკეთესი პოზიცია მიიღეთ და ენდშპილი, სადაც თქვენ ხედავთ, რომ აგებთ.

ჭადრაკი არის ბრძოლა, მაგრამ უმთავრესად საკუთარი შეცდომების წინააღმდეგ.

პაიკებსა და ფიგურებს განსხვავებული ეთიკა აქვთ.

ის, ვინც ბედავს, უნდა წააგოს. ის, ვინც ვერ ბედავს — აგებს.

საჭადრაკო პარტია — ეს ჩვეულებრივად ზღაპარია ათას ერთი შეცდომიდან.

მხოლოდ ძლიერმა იცის, თუ როგორ სუსტად თამაშობს იგი.

## ძალთა ჭიდილი

— საჭადრაკო ამოცანის შედგენისას ავტორები ძალთა ნებისმიერ თანაფარდობას იყენებენ. ასე გასინჯეთ, კომპოზიციაში საოცარი კონტრასტებიც კი გვხვდება. მაგალითად, შეიძლება ერთადერთ შავ მეფეს მეტოქის დიდი არმია „ებრძოდეს" და, პირიქით, თეთრმა მეფემ, მხოლოდ ერთი ფიგურის დახმარებით დათრგუნოს შავების მთელი ლაშქარი. ხშირად გვხვდება აგრეთვე ფიგურათა ცალკეულ ჯგუფებს შორის გაჩაღებული ორთაბრძოლაც, რომელიც, წესისამებრ, რაიმე საამოცანო თემაშია გამოსახული. დიაგრამაზე მოცემულ სამსვლიან ამოცანაში ცნობილმა შვედმა პრობლემისტმა ფ. ლინდგრენმა მძიმე და მსუბუქი ფიგურების საინტერესო ჭიდილი წარმოადგინა. უნდა ითქვას რომ თეთრების უხეში ძალის უპირატესობის მიუხედავად, მძიმე არტილერიისა და კავალერიის შებმა გონებამახვილური და შთამბეჭდავია.



ძვირფასო მეგობრებო მოძებნეთ ეს თამაში!

**ვ. ნეიძე.**

## ვინ ამოხსნა

გაზეთ „კომუნისტის" 1 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული **თ. ერლენის** ოთხსვლიანი ამოცანის ამოხსნაა **1. მფc7! მფa5 2. კf6 მფa6 3. კd8.**

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი ამოხსნა. ზ. სირბილაძე (ქუთაისი), ა. ყიფშიძე (აგუძერა), მ. კინწურაშვილი (ცხაკაია), მ. ქვლივიძე (საგარეჯო), იამზე ქილიფთარი (მახარაძის რ. ნატანები), ჯ. კაკრიაშვილი (ჭიათურა, ხრეითი), ვ. ლობჟანიძე (ამბროლაურის რ. აბარი), ნ. ცენტერაძე (მახარაძის რ. ზემო ნატანები), ზ. ბოლქვაძე (გეგეჭკორი), ი. ღონღაძე (საჩხერის რ. სავანე), ზ. კუკავა, ე. გველესიანი, ტ. ფოფხაძე (ყვილა—რუსთავი), ტ. და. ო. მამულაშვილები, ა. ლომიძე (ყველა — თბილისი).

# ნ. ე. ჭახრაკია



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1939 წლიდან, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო მუშაკი **ნიკოლოზ ერმალოზის ძე ჭახრაკია.**

ნ. ჭახრაკია დაიბადა 1909 წელს აბაშის რაიონის სოფელ დიდ გეზათში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლაში, ხოლო შემდეგ თბილისის მე-4 შრომითი საშუალო სკოლა დაამთავრა. 1927 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1931 წელს ეკონომისტად დაიწყო მუშაობა ხაშურში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის „ცეკავშირის" სისტემაში.

შემდეგ ნ. ჭახრაკიამ „ცენტროსოიუზის" ლენინგრადის ეკონომიური ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციასა და უწყებაში.

1939 წლიდან ნ. ჭახრაკია პარტიულ სამუშაოზეა.

სხვადასხვა დროს ის მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად, საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ ორგანიზატორად და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორად, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ჩამოყალიბებისთანავე, 1959 წელს ნ. ჭახრაკია მის თავმჯდომარედ დანიშნეს.

1963 წლის ოქტომბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნ. ჭახრაკია იყო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ დიდ იდეოლოგიურ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. მან ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის მშრომელთა შორის პარტიის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური პოლიტიკის აქტუალური პრობლემების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების მეცნიერულად დასაბუთებული პროპაგანდის ორგანიზაციის საქმეში. ამ მიმართულებით დაგროვილ დიდ გამოცდილებასა და მის ანალიზს მიუძღვნა მან თავისი შრომა „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ისტორია საქართველოში (1947-1967 წლები)".

პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდში ნ. ჭახრაკია ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ნ. ჭახრაკია აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. საქართველოს კომპარტიის მე-16, მე-17, მე-18, მე-20, 21-ე ყრილობებზე იგი აირჩიეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. იყო საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ნ. ჭახრაკია, ყველგან ამჟღავნებდა პრინციპულობას და საქმის ერთგულებას, გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას უანგაროდ და პატიოსნად ახმარდა პარტიისა და ხალხის სამსახურს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ნ. ჭახრაკიას შრომას. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის სამი ორდენით და რამდენიმე მედლით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, საუკეთესო ორგანიზატორის, კეთილსინდისიერი ადამიანისა და ამხანაგის ნ. ჭახრაკიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.**



არ შეიძლება იცნობდე სესილია თაყაიშვილს — ბუნებისაგან უხვადლო ნიჭით დაჯილდოებულ მსახიობს, მოქალაქეს, მოღვაწეს, დიდბუნებოვან ადამიანს და უსაზღვროდ არ გიყვარდეს იგი, თაყვანს არ სცემდე.

სესილიას მღელვარე პირადი ცხოვრება აქვს. ხელოვნებით ცოცხლობს და სულდგმულობს. თეატრებში გენერალურ რეპეტიციას ესწრება, ყველა პრემიერას ნახულობს, იშვიათად აცდენს ფილარმონიის დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტს თუ ესტრადას. მუდამ აღელვებს, რა ხდება ხელოვნებაში, რომელი რეჟისორი როგორ მუშაობს, როგორი მსახიობი შემატა თეატრს. ცხოვრებაში ძალიან მხიარული და მიმზიდველია, სტუმართმოყვარე.

სესილია სიტყვამოსწრებული და მჟევრმეტყველია. რა საინტერესო საზოგადოებაც უნდა იყოს, პირველობა, რა თქმა უნდა, მას რჩება. ბევრი ლექსი ზეპირად იცის... გალაკტიონი, ესენინი, ბლოკი... კითხულობს საოცარი შთაგონებით, უყვარს სიმღერა, ჩუმად აჰყვება ხოლმე. ჰყავს უამრავი მეგობარი და კეთილმოსურნე, ყველას უყვარს სესილია, როგორც მსახიობი, როგორც მეგობარი.

ესტრადაზე მუშაობისას მთელი საქართველო მოვლილი აქვს. ყველგან მაყურებლით სავსე დარბაზი, ოვაციები, ტაში, ყვავილები! რა ბედნიერება იყო, ესტრადაზე მისი განუმეორებელი პარტნიორი სანდრო ჟორჟოლიანი და თვითონ რომ გამოჩნდებოდნენ. სცენაზე სესილია კოხტად და უბრალოდ ჩაცმული გამოდიოდა. ორივენი უზომოდ მიმზიდველნი იყვნენ. ჯანსაღი იუმორით, სახასიათო ნიჭის ფეიერვერკით გვატკბობდნენ. კონცერტის დაწყების წინ კულისებში ნამდვილი წარმოდგენა იმართებოდა. სანდრო თვალგაშტერებული იჯდა. ტუჩებს აცმაცუნებდა და ფეხებს აბაკუნებდა. ფიქრობდა, გონებაში ტექსტს იმეორებდა. სესილია აწრიალდებოდა, ერთი სკამიდან მეორეზე გადაჯდებოდა ან მოუსვენრად ბოლთას სცემდა.

— არა, სესილ, შენ მეტი სასაცილო სიტყვები გაქვს...

— რა გინდა, სანდრო, აიღე და თქვი შენ! — სერიოზულად ჩხუბობდნენ ხოლმე. იმათ ყურებას არაფერი სჯობდა. ამდენი წელი ესტრადაზე მუშაობდნენ, და ყოველი კონცერტის წინ ღელავდნენ, რადგანაც მაყურებლის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. სესილია ასევე განიცდიდა სპექტაკლის დაწყებას და ღელავს დღესაც, როდესაც თავისი მონაწილეობით ფილმს უყურებს. იგი ჩვენი დროის უბრწყინვალესი შემოქმედია. როლზე მისი მუშაობა არავითარ სისტემას და სკოლას არ ექვემდებარება, მაგრამ საბოლოოდ სიმართლისა და გარდასახვის დიდ გაკვეთილს ვხედავთ. მისი მუშაობის პირადი სისტემა იმდენად ხალასი, უშუალო და ამავე დროს მისეულია, რომ მისი მიბაძვა არ შეიძლება. როგორც ყველა დიდი შემოქმედი დაჯილდოებულია შეუცნობელი და აუხსნელი ინტუიციით, შეგრძნებებით, გემოვნებით.

მახსოვს ახალგაზრდა რეჟისორი ლეო შატბერაშვილი ტაჯიკი დრამატურგის მუხტაროვის პიესას „ალანის ოჯახს" დგამდა. ალანი მამა — შალვა ღამბაშიძე, დედა — სესილია თაყაიშვილი, შვილები გიორგი შავგულიძე, გიული ჭოხონელიძე, რძალს მე განვასახიერებდი. სესილიამ აიჩემა: — რა პიესაა, რათ უნდოდათ, არ ივლის ხალხი. ამ დავასა და ლაპარაკში ვიყავით, რეპეტიციები კი მაინც იმართებოდა. მსახიობებს მისი ნერვიულობა გადაგვედებოდა ხოლმე და დავდარდიანდებოდით. — მართალი ხარ, სესილია, მაგრამ რა ვქნათ, უნდა ვითამაშოთ, — ამშვიდებდა შალვა ღამბაშიძე. ჟორა შავგულიძე სიტყვაძუნწი კაცი იყო, მოშორებით იდგა ხოლმე და ღიმილით, ულვაშის გრეხით უყურებდა სესილიას. იგი როლზე მთელი გულისყურით მუშაობდა. პარტნიორებს პირდაპირ შთაგონებით გვავსებდა. სხვადასხვა მიზანსცენას სინჯავდა, ცდიდა. აი, თითქოს აეწყო მონაკვეთი, და ისევ ქოთქოთი, სიცილი, თან კმაყოფილია რომ ჩანაფიქრი ხორცს ისხამს, ცოცხლდება, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით გვიყურებდა, მოგვეწონდა თუ არა ის, რაც გააკეთა. და აი, გენერალური რეპეტიცია მოახლოვდა. სესილიამ ტაჯიკური კაბა ჩაიცვა, მოხდენილად შემოიხვია თავშალი. მზისგან დამწვარი სახე, ცისფერი თვალები. კეთილი, მოსიყვარულე, მოღიმარი სახით წაბაჯბაჯდა სცენაზე. თან ბუტბუტებდა — ალამბალამ... და დარბაზში ერთსულოვანი სიცილი, ტაში გაისმა, მართლაც სესილია ამ სპექტაკლში ბრწყინვალე იყო. ნამდვილი ტაჯიკი ქალი იდგა სცენაზე, თითქოს სადღაც შეგვხვედრია, გვინახავს, ვიცნობთ.

პრემიერის შემდეგ შალვამ თქვა: — ბიჭოს, ამას აღარ დაუჯეროთ, ბატონებო, ჩვენ ხასიათს გვიფუჭებდა და თვითონ როლს აკეთებდა. — გადაეხვია სესილიას, ჩაიკრა გულში და გამარჯვება მიულოცა. მე თვითონ, მისი პარტნიორი ვერც კი ავხსნი, რა ხერხებით მივიდა ამ შესანიშნავ სახემდე. ასეთია ხელოვნის ნიჭის საიდუმლოება. სესილია ყოველთვის ეძებს სახის მკვეთრ ხასიათს, თვისებებს, რათა დაგანახოს, რითი ცოცხლობს მისი გმირი, ამხილოს, გაკიცხოს, გაამათრახოს ანდა შეგაყვაროს იგი.

პრიუდანსის როლში (სპექტაკლი „მარგარიტა გოტიე") გამოჩნდებოდა თუ არა სცენაზე, გრძნობდით, რომ სასიკეთოდ არ იყო შემოსული. თითქოს ლამაზია, მაგრამ არასასიამოვნო, ოდნავ ხტუნვით დადის, მაცდური ღიმილით, ფრანგული ჟარგონით, პრანჭვით ელაპარაკება მარგარიტს, უნდა რაღაც გამოსცანცლოს და როცა გაიმარჯვებდა, მიაღწევდა მიზანს, შესრულებდა წადილს. თითქოს ცეკვით გადიოდა სცენიდან. ანდა გვირისტინე — კეთილი, გულუბრყვილო კოლმეურნე ქალი, ო, როგორ იტყოდა ხოლმე: — გოგოებო, რას მოვესწარი, მოსკოვში ვიყავი, კრემლში.

პრიუდანსი და გვირისტინე — ორი სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ქალი... სახასიათო ტალანტის რა ბრწყინვალება! არაჩვეულებრივი გარდასახვის უნარი, გემოვნება და საერთოდ გმირის ხასიათის მოძებნა, ჩაცმულობა.

# ხალხის სიყვარული

## მოგონების ფურცლები

### სესილია თაყაიშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი

გმირი როგორ დადის, როგორ ჯდება, როგორ უსმენს ან როგორ უპასუხებს! ამას აკეთებდა დიდოსტატურად, ამიტომ იგი თავისი კოლეგების მიმართაც მომთხოვნი და მკაცრი იყო, გენერალური რეპეტიცია იქნება თუ პრემიერა, მთელის გულისყურით უყურებს. არ გამოეპარება არც ერთი ნიუანსი, თუ რამე არ მოეწონა, აწრიალდება, ეჩქარება მალე დამთავრდეს მოქმედება, რომ კულისებში შემოვიდეს და მიუთითოს, ურჩიოს რეჟისორს თუ მსახიობს. თუ ვერ მოახერხა ტელეფონით დაურეკავს რა დროც უნდა იყოს. ასევე გულუხვია ხოტბაში. არ ენანება კეთილი სიტყვა თავისი კოლეგისათვის.

იგი დიდი პატივისცემით და სინანულით გვიყვებოდა გარდაცვლილ კოლეგებზე, მარჯანიშვილზე, უშანგი ჩხეიძეზე... ტკივილით იგონებდა გიორგი შავგულაძის უდროოდ დაკარგვას.

მთელი სიცოცხლე ოცნებობდა ელისაბედზე. დანაწილდა როლები. ვასო ყუშიტაშვილი შეუდგა შილერის „მარიამ სტიუარტის" — დადგმას. ელისაბედი — სესილია თაყაიშვილი. და დაიწყო ნერვიულობა, სესილია „ავად" გახდა, სულ შეიცვალა, დადიოდა მოუსვენარი, ეჭვიანი, ნელ-ნელა ავსებდა თავის შინაგან სამყაროს ელისაბედისეული შტრიხებით.

სესილია იყო თავისი როლის მსახიობი და რეჟისორი. ვასო ყუშიტაშვილმა იცოდა სესილიას ხასიათი და მახსოვს, როგორ ფაქიზად, კეთილი იუმორით დაამშვიდებდა ხოლმე.

ელისაბედ დედოფალი სესილიას შესრულებით ბრწყინვალე იყო.

ახლა ბებია სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" — შედევრი იყო.

სესილია თაყაიშვილი სცენაზე აღარ თამაშობს, მაგრამ მაინც სულ ჩვენთან არის, თეატრით ცოცხლობს!..

დიდ მსახიობებს წლების ტვირთი უფრო ამაღლებს. სესილია თაყაიშვილს შვიდი ათეული წელი შეუსრულდა... ვუსურვებთ მას კიდევ მრავალ შემოქმედებით წარმატებას, სულის სისავსეს, დღეგრძელობას. იგი მუდამ იბრწყინებს ქართული თეატრის ცის კაბადონზე, როგორც განსაკუთრებული მომხიბლაობის ვარსკვლავი.

**მარინე თბილელი,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.





სურათებზე: სესილია თაყაიშვილი; ქვემოთ, მარცხნიდან—ოლღა ბებია (ნ. დუმბაძე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"; ელისაბედ დედოფალი (ფ. შილერი „მარიამ სტიუარტი").

## კალათბურთი

# „ჰონვედის" პრიზზე

ბუდაპეშტში დაიწყო არმიელთა სპორტული საზოგადოების „ჰონვედის" პრიზის გათამაშება კალათბურთში — საერთაშორისო ტურნირი, მიძღვნილი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღისადმი.

ასპარეზობაში გამოდის სსრ კავშირის ჩემპიონიც — ცსკა. პირველ მატჩში მოსკოველმა არმიელებმა სძლიეს იუგოსლავიის „ბაცკა ტოპოლას" — 156:67 (83:24).

ტურნირი 4 ოქტომბრამდე გასტანს.

# ტირაჟის შედეგები

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 29 სექტემბერს გამართული „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 39-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსივე ნომერა გამოიცნეს კიევში, მოგების თანხაა 5.000 მანეთი (1 ბარათი); იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 937 მანეთი (176 ბარათი); ოთხი ნომერი — 31 მანეთი (6.017 ბარათი); სამი ნომერი — 3 მანეთი (90.662 ბარათი).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა: 2.176 მანეთი (36 ბარათი); ოთხი ნომერი — 58 მანეთი (1.619 ბარათი); სამი ნომერი — 3 მანეთი (28.306 ბარათი).

39-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1976 წლის 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით.

## შაბათის „სპორტლოტო"

**მოსკოვში** 2 ოქტომბერს გამართული „სპორტლოტოს" — 36-დან 5-ის" ტირაჟების შედეგები.

პირველი ტირაჟი: 2 (ბიატლონი), 22 (ცურვა), 33 (ფიგურული სრიალი), 30 (სტენდის სროლა), 9 (წყალბურთი).

მეორე ტირაჟი: 33 (ფიგურული სრიალი), 34 (ფეხბურთი), 2 (ბიატლონი), 4 (ცრავი), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

# ჩვენი კინოაფიშა



## ხალხური რომანი

იტალიელ რეჟისორს მარიო მონიჩელის მრავალი საინტერესო ფილმი აქვს გადაღებული. მის ფილმს „არ აცდინო, ასუნტა" წარმატებით უჩვენებდნენ ჩვენს ეკრანებზე.

„ხალხური რომანი" წმინდა წყლის იტალიური ამბავია.

კვალიფიციურმა მილანელმა მუშამ, ორმოცდაათ წელს მიღწეულმა ჯულიომ თავისი თექვსმეტი წლის ნათლული შეირთო ცოლად. პირველ ხანებში ცოლ-ქმარი ტკბილად ცხოვრობს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მათ ოჯახში გამოჩნდება ჭაბუკი პოლიციელი ჯოვანი...

ვინჩენცინამ ვერ გაუძლო ახალგაზრდა პოლიციელის იერიშებს და ჯულიოს ოჯახში კლასიკური სამკუთხედი შეიქმნა...

მთავარ როლს ცნობილი იტალიელი მსახიობი უგო ტონიაცი ასრულებს.



## შტორმი ხმელეთზე

ფილმი გადაღებულია ბორის ჟიტკოვის მოთხრობების მიხედვით. იგი გვაცნობს პატარა მიტია ხრიპოვს, რომელიც კაპიტნობასა და შორეულ ნაოსნობაზე ოცნებობს. მაგრამ იმის მაგივრად, რომ გიმნაზიაში იჯდეს და ისწავლოს, მიტია იძულებულია კატორღული შრომით იშოვოს ლუკმა-პური.

სცენარის ავტორები არიან ანატოლი გალიევი და ედუარდ ბოჩაროვი. დამდგმელი რეჟისორია ედუარდ ბოჩაროვი...

(მ. გორკის სახელობის კინოსტუდია).

## ტელევიზია

### 3 ოქტომბერი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა", 11.45 — მხატვრული ფილმი „დიდი ტრამპლინი", 13.00 — „მუსიკალური კიოსკი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოაფიშა", 14.00 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე), 14.20 — კინონარკვევი „თქვენ შემოგცქერიან", 14.30 — „დღეს მასწავლებლის დღეა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.45 — კინოს მოყვარულთათვის", 17.00 — „ჩვენი საკონცერტო სტუდია" (მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა) ფერადი გამოსახულებით, 18.00 — საერთაშორისო პანორამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „მღერის მანანა მენაბდე". ფერადი გამოსახულებით, 19.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი). შესვენების დროს — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — ქართული მხატვრული ფილმი „დაისი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — საესტრადო კონცერტი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

### 3 ოქტომბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აბაო სიფრთხილე (დღისით, მე-10 აბონ. მე-6 წარმ.). სოფლის პატიოსნება (საღამოს, მე-6 აბონ. მე-7 წარმ.); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დასაწყისი (დღისით და საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კვაჭი კვაჭანტირაძე (დღისით), თვალი პატიოსანი (საღამოს); ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია (მეტეხის ტაძარში) — ძალოსნები.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1976 წლის 30 სექტემბერს 67 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**ნიკოლოზ ერმილეს-ძე ჭახრაკია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი და მეცნიერული კომუნიზმის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 54 წლისა გარდაიცვალა სკკპ წევრი 1946 წლიდან, უნივერსიტეტის პრორექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი,

**ოთარ იაკინთეს-ძე ნიორაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02513 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14